საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლშევიკური სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 23 ივნისი. 2020 წ. №76 (9002) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

კელი დეგნანი: ძალიან მახარებს მერთან შეხვედრა...

თბილისის მერმა კახა კალაძემ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან კელი დეგნანთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობაზე გამახვილდა ყურადღება. საუბარი შეეხო დაგეგმილ და სამომავლო პროექტებს.

„ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა. ვისაუბრეთ საქართველო-აშშ-ს შორის არსებულ სტრატეგიულ ურთიერთობასა და პარტნიორობაზე, რასაც ჩვენ ძალიან ვაფასებთ. ასევე, საუბარი შეეხო სამომავლო გეგმებს, თუ რა პროექტები შეიძლება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მიმართულებით და სად და რაში შეიძლება დაგვეხმარონ საერთაშორისო ორგანიზაციები. შეხვედრაზე ხაზი გაესვა პანდემიასთან ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის როლს, სწორ და დროულად გადადგმულ ნაბიჯებს, რაზეც ქალბატონმა ელჩმა მადლობა გადაგვიხადა“, — განაცხადა კახა კალაძემ. კელი დეგნანმა ერთობლივი პროექტების განხორციელების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

„მოხარული ვარ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა, გვესაუბრა იმ შესანიშნავ თანამშრომლობაზე, რაც ჩვენსა და ქალაქ თბილისს შორისაა; შეხვედრისას ასევე, ვისაუბრეთ ღია მმართველობის პარტნიორობაზე, რომელშიც თბილისი მონაწილეობს, შევეხეთ გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ინიციატივას, რომლის მიზანიც თბილისში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მერიის გუნდის დახმარებაა. ჩვენ მოუთმენლად ველით მერთან და ქალაქ თბილისთან თანამშრომლობის გაგრძელებასა და მრავალ ინიციატივაზე მუშაობას. მართლაც, შესანიშნავი თანამშრომლობა გვაქვს და ძალიან მიხარია, რომ მომეცა მერთან შეხვედრის შესაძლებლობა“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

ანზორ თავართქილაძე: როცა ქართველ მეცნიერს მსოფლიო აღიარებს...

7

8

იაკობ ლეჟავა: ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია!

ღუდაჯაცმა თუ ჯიშჯა, მცრისას!.. ნათია ფანჯიკიძე ბოლშევიკების ეპოქის სექსუალურ „მეამბოხეებს“ შეინატრის!

თავისუფალი ქალები ღობეებს ამტვრევენ

ჩვენში გამძაფრებული შინაარსი — პოზიცია-ოპოზიციის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, არა მხოლოდ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ატეხილი პოლიტიკური ქარიშხალია, არამედ ყველაფრის — ზნეობის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების წამლეკავი ცუნამი.

მე ადამიანებს ვათავისუფლებ ისეთი დამამცირებელი ქიმერისაგან, როგორიც სინდისიაო, თქვა ადოლფ ჰიტლერმა. ერთი საუკუნის შემდეგ იგივეს გვპირდებიან ქართველი ნაცები.

მწვერვალს მიაღწია ეკლესიის წინააღმდეგ ტოტალურმა ლაშქრობამ, უხამსად, ამაზრზენად ებრძვიან ჩვენს ბრძენ, საქართველოს სიყვარულში, მისი კეთილდღეობისთვის დაუღალავ მებრძოლ კათოლიკოს-პატრიარქს, იატაკქვეშიდან გამოიყვანეს და დარაზმეს ლგბტ თემი, ერთმანეთს აჰკიდეს ადამიანები, ოჯახები...

ეს ყოვლისწამლეკავი, ყოვლისამომგდები ბრძოლა იქცა არჩევნებში გამარჯვების ერთ-ერთ ნიშანსვეტად, ვლინდება ყველაფერში, ლამის ყოველდღე.

9 ივნისს ფეისბუქის გვერდზე ერთი ისეთი პოსტი დაიდო, მე პირადად შემზარა. მით უფრო, რომ მას ხელს აწერს საყოველთაოდ ცნობილი ავტორი: განათლებული, ენამჭევრი, სახიერებით გამორჩეული ლიბერალი ქალბატონი, ფსიქოლოგიური ტელეგადაცემების აღიარებული წამყვანი, ფსიქოლოგიურ ცენტრ „კამარას“ დამფუძნებელი, სახელოვანი მშობლების შვილი და ასევე ფრიად ცნობილი კაცის მეუღლე. ეს ამდენი რამ იმიტომ ჩამოვთვალე, რომ მართლაც სირცხვილია ის, რასაც წერს ქალბატონი **ნათია ფანჯიკიძე.**

იხ. 4 გვ.

ანონსი: ხვალინდელ ნომერში

ბრძენ მოძღვარზე

რაც განუყრელ მოგონებად დამრჩა,

ანუ ვინაც ბევრად უფრო ქართველი გამხადა!..

ალარც მახსოვს, ჯერ კიდევ როდის დამიწყო ერთმა ჩემმა ფრიად წიგნიერმა ძმისწულმა ჩიჩინი, მარტო მე ნუკი მიყვები, ადექი და დაწერე, რაც რამ მოსაგონებელი გაქვს კონსტანტინეზეო, გამსახურდიაზე...

ჰოდა, მეც ავდექი ჩავხედე ჩემს იმდროინდელ ჩანაწერებს და დავწერე პირუთვნელად, ბევრიც გზადაგზა წამომაგონდა.

პირველი ჩვენი გაცნობა დაუსწრებლად მოხდა. ადამიანის ნააზრევი ხომ იგივე ის ადამიანია. მეც კონსტანტინე გამსახურდიას ამ ნააზრევს 1956 წლის ცხელ ზაფხულში ჩავუჯექი ზემო ხანდაკად სახელდებულ სოფელში სტუდენტურ არდადეგებზე. სულ ჩავაბულბულე ხელფანქრიანმა მთელი მრავალტომეული და ეს ქართული სიტყვის ჭეშმარიტი ხუროთმოძღვარი თვალწინ დავიყენე, სამუდამო მეგზურ-ეტიკად გავიხადე და იმისგან ნაჩვენებ გზას გავუყევი, რომელ გზაზეც ერთხელაც საყვარელ ადამიანსა და მწერალს ცოცხლად შევხვდი...

გურამ გოგიაშვილი

გიორგი გახარია: ჩვენი ვალდებულებაა, რომ ჩავატაროთ გამჭვირვალე, სამართლიანი და მაქსიმალურად დემოკრატიული არჩევნები!

ამ საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ, რომელიც საარჩევნო სისტემასთან არის დაკავშირებული, ფაქტობრივად, უკვე იწყება საარჩევნო, პოლიტიკური პროცესი. აქ მთავრობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა არის უზარმაზარი იმისთვის, რომ ჩვენ, როგორც ყოველთვის, ჩავატაროთ გამჭვირვალე, სამართლიანი და მაქსიმალურად დემოკრატიული არჩევნები, ისეთი არჩევნები, რომელიც კიდევ ერთი ხარისხის ნიშანი იქნება საქართველოს შემდგომი დემოკრატიზაციის მიმართულებით, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საბჭოს მორიგ სხდომაზე განაცხადა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, არჩევნები პანდემიის პირობებში არის გლობალური გამოწვევა, რომელიც ქვეყანას მისცემს წარმატებული გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობას. პრემიერმა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორს მიმართა, რომ ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, ყოველდღიურად, ჯანმრთელობასთან და ეკონომიკასთან ერთად აქტიური სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებაც გასათვალისწინებელია.

„არჩევნები და პანდემია კიდევ ცალკე თემაა, რომელიც ჩვენ ასევე მოგვცემს წარმატებული გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობას, არჩევნები პანდემიის პირობებში არის ასევე გლობალური გამოწვევა, ესეც რაღაც ახალი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში და ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ აქაც ისეთი, რასაც დავაგროვებთ, ცოდნის სისტემატიზაციასაც მოვახდენთ და შემდეგ უკვე დავტოვებთ იმისთვის, რომ ინსტიტუტები სულ უფრო და უფრო გაძლიერდნენ ჩვენს ქვეყანაში. ბატონო ამირან, ჩათვალეთ, რომ ყოველდღიურად ჩვენ ჯანმრთელობასთან, ეკონომიკასთან ერთად გვემატება ჩვენი აქტიური სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებაც და ესეც გასათვალისწინებელი იქნება ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით“, — მიმართა პრემიერ-მინისტრმა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორს ამირან გამყრელიძეს.

* * *

ჩვენს განზომილებას, ეპიდემიასთან ბრძოლაში, ჯანმრთელობის და ეკონომიკის გარდა, უკვე პოლიტიკური განზომილებაც ემატება, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოზე საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, საარჩევნო სისტემის ცვლილება არის ჩვენი ქვეყნის დემოკრატიზაციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი.

„პირველ რიგში, მინდა ჩვენი პარლამენტის წევრებს მივულოცო ეს წარმატება და ეს შედეგი. რა თქმა უნდა, ეს იყო ის გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენ ყველა ველოდით და არა ერთხელ გვითქვამს, რომ უფრო მეტად პროპორციული საარჩევნო სისტემა, ეს არის ერთადერთი გზა იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში პოლიტიკური კულტურა ნელ-ნელა, ეტაპობრივად გაუმჯობესდეს, ცვლილებები დაიწყოს, გახდეს უფრო დემოკრატიული, ევროპული და ისეთი, რომელიც ჩვენ მიგვიყვანს ჩვენს საბოლოო მიზნამდე, ჩვენს ევროატლანტიკურ ინტეგრაციამდე“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ამირან გამყრელიძე: დღევანდელი ეპიდსიტუაცია იძლევა საშუალებას, რომ ჩატარდეს არჩევნები, დაიწყოს სასწავლო პროცესი და გაფართოვდეს სხვა ღონისძიებებიც

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ერთი მხრივ დაცული იყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლება არჩევნებზე ხმის მიცემასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ ქვეყანაში ინფექციის შემდგომი გავრცელების პრევენცია მოხდეს.

როგორც გამყრელიძემ პარლამენტში არჩევნებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოში არსებული დღევანდელი ეპიდემიოლოგიური ვითარება არჩევნების ჩატარებისა და სასწავლო პროცესის დაწყების საშუალებას იძლევა, თუმცა არავინ იცის, როგორი იქნება პროგნოზი მომავალში.

„ძალიან ბევრმა ქვეყანამ და დღეს მოყვანილი იქნა სტასტატიკური მონაცემები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, თუ რა პირობებში ჩაატარეს არჩევნები. ჩვენ ახალ ველოსიპედს არ ვიგონებთ, რადგან მთელ რიგ ქვეყნებში პანდემიის პერიოდში ზოგმა გადადო არჩევნები,ზოგმა გაახანგრძლივა დროში, ზოგმა ჩაატარა — გუშინ სერბეთში ჩატარდა, კიდევ რამდენიმე დღის წინ საფრანგეთში ჩატარდა, მოგეხსენებათ, ნოემბერში მოდის აშშ-ში არჩევნები და ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრს შემუშავებული აქვს თავისი რეკომენდაციები. ხდება ანალიზი საერთაშორისო გამოცდილების. კომისიის სხდომაზე დაისვა კითხვა ჩვენ მიმართ, რომ დღევანდელი ეპიდსიტუაცია, როგორიც გვაქვს ქვეყანაში, ის იძლევა საშუალებას? ჩემი პასუხი ამაზე ნათელი იყო, რომ დღევანდელი ჩვენი ეპიდსიტუაცია არის ერთ-ერთი საუკეთესო რეგიონში და, რა თქმა უნდა, ის იძლევა საშუალებას, რომ ამ ტიპის ეპიდსიტუაციის დროს ქვეყანაში არჩევნებიც ჩატარდეს, სასწავლო პროცესიც დაიწყოს და კიდევ სხვა ღონისძიებებიც გაფართოვდეს. მაგრამ ხაზს ვუსვამთ, რომ პროგნოზირება, თუ რა იქნება მომავალი ოთხი თვის განმავლობაში, რადგან დღეს გლობალურად ხედავთ, რომ ყოველდღიურად ახალი ინფიცირებულთა რაოდენობა მთელ მსოფლიოში იმატებს, გასაგებია, რამდენიმე ქვეყნის ხარჯზე ხდება ეს, მაგრამ ზოგადად სიტუაცია არ მშვიდდება“, — განაცხადა გამყრელიძემ.

მან მოსახლეობას კიდევ ერთხელ მოუწოდა, ყველა წესი და რეკომენდაცია დაიცვან.

ხშირად გაუსინჯეთ სიცხე ბინძური პიარ-კამპანიისგან მოწამლულ ანა დოლიძეს!

იუსტიციის **უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა ანა დოლიძემ საბჭო დატოვა. ამის შესახებ მან ბრიფინგზე განაცხადა.** როგორც დოლიძემ განმარტა, იუსტიციის საბჭო ველარ იქნება ასპარეზი მისი ბრძოლისთვის, რადგან მის წინააღმდეგ „ორკესტრირებული ბინძური პიარკამპანია“ დაიწყო.

„მე დავაარსე მოძრაობა ხალხისთვის, რომლის უპირველესი ამოცანაა, საჯარო დღის წესრიგში შევიტანოთ ხალხის პრობლემები, რამდენიმე დღის წინ მე ხელი მოვაწერე მემორანდუმს ახალი პლატფორმის შექმნის შესახებ, რომლის მიზანია, ჩამოართვას მონოპოლია ორ უმთავრეს ძალას. ამ პლატფორმის ხელმოწერის პროცესებთან დაკავშირებით, ჩემს მიმართ გამძაფრდა ორკესტრირებული ბინძური PR კამპანია. ამოქმედდა სქემა 108. 108 საპარლამენტო ხმა და ბინძური პიარ კამპანიების მიზანია პირველი ყველა შესაძლებლობით არ დაუშვას საზოგადოებრივ დღის წესრიგში იმ ძალების შექმნა, რომელსაც შეუძლია ორი მთავარი პოლიტიკური ძალის დემონოპოლიზაცია“, — განაცხადა ანა დოლიძემ.

„ამ ბინძური პიარკამპანიის მიზანია, გააუფასუროს ის ბრძოლა, რომელიც მე ორი წლის განმავლობაში მქონდა. ამ ბინძური კამპანიის მიზანია შექმნას სეირი იუსტიციის საბჭოში, რომელსაც პოპკორნით სიამოვნებით უყურებს კლანი და უყურებს „ქართული ოცნება“. მე დღეს გავაგზავნი განცხადებას ქალბატონ სალომე ზურაბიშვილთან და გავუადვილებ მას იმ გადაწყვეტილების მიღებას რომელიც მან თვითონ ვერ მიიღო და დავტოვებ იუსტიციის საბჭოს“, — აღნიშნა ანა დოლიძემ.

თავდაცვის ძალები ახალი სპეცტექნიკით აღიჭურვება

საქართველოს **თავდაცვის ძალები მსოფლიო ლიდერი კომპანიების მიერ წარმოებული სპეციალური დანიშნულების ახალი ტექნიკით აღიჭურვება.**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველ სამხედროებს ნატოს წევრი ქვეყნების სტანდარტების შესაბამისი სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები ექნებათ. ამ ბრენდების სპეციალურ ტექნიკას იყენებენ გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, შვეიცარიისა და სხვა მრავალი ქვეყნის თავდაცვის ძალები.

ახალი სპეცტექნიკის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს თავდაცვის სამინისტროსა და შესაბამის პოზიციებში გამარჯვებული მომწოდებელი კომპანიების ხელმძღვანელმა პირებმა. ახალი პროექტის მიხედვით, მოძველებული საბჭოთა წარმოების სპეცტექნიკა თანამედროვე, მსოფლიო და ევროპული ლიდერი კომპანიების, გერმანული „მენ“ (MAN), იტალიური „ივეკო“ (IVECO) და ამერიკული „ფორდი“ (FORD) მიერ წარმოებული სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ჩანაცვლდება. ჯამში, თავდაცვის სამინისტრო 500-ზე მეტ ერთეულ სპეციალური დანიშნულების ტექნიკას შეიძენს. აღნიშნული პროექტი ჯარის ავტოტექნიკით დაკომპლექტებასა და თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აღსანიშნავია, რომ სპეცტექნიკისთვის საჭირო ღირებულებას თავდაცვის უწყება ეტაპობრივად, რამდენიმე წლის განმავლობაში გადაიხდის. ახალი სპეცტექნიკის შესყიდვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ხარჯების ეფექტურობის თვალსაზრისითაც, რადგან მოძველებული ტექნიკის შენახვა და გარემონტება თავდაცვის ძალებს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მილიონობით ლარი უჯდებოდა. ერთი და იმავე ბრენდის მწარმოებლის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ფლობა კი, შემდგომ წლებში მნიშვნელოვნად გაამარტივებს სპეცტექნიკის მართვას და ტექნიკურ მომსახურებას. პროექტი რამდენიმე თვეში დასრულდება და შედეგად, კიდევ უფრო გაძლიერდება თავდაცვის ძალების სამხედრო შესაძლებლობები და ზოგადად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო საქართველოს მხარდამჭერ განცხადებებს ამრავლებს!

ჟენევაში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 43-ე სესიის ფარგლებში, სადაც ასევე დაგეგმილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რეზოლუციის – „თანამშრომლობა საქართველოსთან“ მიღება, გაიმართა გენერალური დებატები. გაკეთდა საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები ევროკავშირის, ბულგარეთის, უკრაინის, ფინეთის, ესტონეთის, ლიეტუვას, ლატვიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და საბერძნეთის მხრიდან.



დელეგაციები მიესალმნენ საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობას გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ქვეყანაში მიღწეულ პროგრესს. მათ შეშფოთება გამოხატეს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში, კორონავირუსის პანდემიის პირობებში, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების თვალსაზრისით არსებული მძიმე მდგომარეობაზე. კერძოდ, დელეგაციებმა დაგმეს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ხელოვნური ბარიერების აღმართვის უკანონო პროცესის გაგრძელება და გადაადგილების თავისუფლებაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესება.

გამომსვლელებმა შეშფოთება გამოხატეს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ეთნიკური ქართველი მოსახლეობის მიმართ სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის, სიცოცხლის უფლების დარღვევის, თავისუფლების აღკვეთის, უკანონო დაკავებების, საკუთრების უფლებისა და ჯანდაცვის უფლების დარღვევის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების დარღვევებსა და შეზღუდვებთან დაკავშირებით, რაც, მათი შეფასებით ხელს უშლის ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში შემდგომი ხელშესახები პროგრესის მიღწევას.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებზე, მათ შორის ცხინვალიდან სასწრაფო სამედიცინო ევაკუაციაზე უარის თქმის შემთხვევებზე, რაც განსაკუთრებით კორონავირუსის კონტექსტში კიდევ უფრო ამძიმებს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ყოფას, უარყოფით გავლენას ახდენს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობასა და უფლებებზე.

ამასთან, გამომსვლელებმა ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შესვლის საჭიროებისა და მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობა და მოუწოდეს რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების დაუყოვნებელი და უპირობო დაშვება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში.

დელეგაციები მიესალმნენ საბჭოს 43-ე სესიის დღის წესრიგის ფარგლებში საქართველოს მიერ ყოველწლიური რეზოლუციის „თანამშრომლობა საქართველოსთან“ ინიცირებას და რეზოლუციის მხარდაჭერა დაადასტურეს.

„ქართული ოცნება“ შეშფოთებულია ივანიშვილთან დაკავშირებული ნეგატიური განცხადების გამო!

სახელისუფლებო პარტიის „ქართული ოცნების“ ლობისტური კომპანია Hogan Lovells-ი შეერთებული შტატების კონგრესმენებს, მათ მიერ მომზადებული სტრატეგიული დოკუმენტის საპასუხოდ, წერილს უგზავნის.

ლობისტების წერილი, რომელსაც თან „ქართული ოცნების“ განცხადებაც ერთვის, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

„ქართული ოცნების“ პარტია დიდად აფასებს, რომ სტრატეგიის შემოთავაზება ადასტურებს საქართველოს მტკიცე ერთგულებას აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის მიმართ. „ქართული ოცნება“ გამოხატავს გარკვეულ შეშფოთებას ნეგატიური განცხადების გამო, რომელიც ეხება „ქართული ოცნების“ ლიდერსა და დამფუძნებელს, საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს. როგორც ჩანს, ეს კომენტარები გაკეთდა ყოველგვარი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე.

„ქართული ოცნება“ აღნიშნავს, რომ მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, საქართველო დასავლურ ალიანსთან და აშშ-თან ყველაზე მეტად დაახლოვდა. „ქართული ოცნება“ მოუთმენლად ელის „რესპუბლიკური კვლევითი კომიტეტის“ წევრებთან მუშაობას აშშ-საქართველოს ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცებისთვის“, – ნათქვამია ლობისტების წერილში.

შეგახსენებთ, შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის რესპულიკელმა წევრებმა გამოაქვეყნეს სტრატეგიის დოკუმენტი – „ამერიკის გაძლიერება და გლობალური საფრთხეების წინააღმეგ ბრძოლა“.

დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერენ კონგრესმენები – ჯონსონი, უილსონი, უიტმენი, ვაგნერი, მუნი, ბეკონი, ბერგმანი, დანი, ჰიგინსი, ნორმანი, კრენშოუ, შტაილი და უოლცი, საქართველოზეც არის საუბარი.

ამავე დოკუმენტში ფართოდ არის განხილული პუტინის რეჟიმის როლი მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტების ხელყოფაში. ამ კონტექსტში კონგრესმენები გარდაუვლად მიიჩნევენ რუსეთისთვის სანქციების დაწესებას.

„კონგრესმა სანქციები უნდა დააწესოს მათზე, ვინც დგას რუსული პროპაგანდის უკან და ძირს უთხრის შეერთებული შტატების პარტნიორების, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, უსაფრთხოებას“, – ნათქვამია დოკუმენტში. კონგრესმენები მოუწოდებენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, მოამზადოს ანგარიში კრემლთან დაკავშირებული ოლიგარქების შესახებ, რომლებიც რუსეთის აგრესიას აფინანსებენ. **„ბიძინა ივანიშვილი, ყველაზე მდიდარი საქართველოში, პუტინის ახლო მოკავშირეა და მონაწილეობს საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციაში რუსეთის სასარგებლოდ“,** – ნათქვამია დოკუმენტში. სტრატეგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კონგრესმა უნდა გააგრძელოს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა.

◎ საწვავის ხარისხი

ზარალდება ქვეყნის ეკოსისტემა, ზიანდება ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობა

საწვავის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები წლების განმავლობაში კვლავ რჩება ნავთობპროდუქტების ინდუსტრიის აქილევსის ქუსლად, – აცხადებს საქართველოს ბიზნესასოციაციის ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის კომიტეტის ხელმძღვანელი **შავლეგ მიშველაძე.**

„საქართველოს ბიზნესასოციაცია მუდმივად საუბრობს საწვავის ხარისხთან დაკავშირებულ მასშტაბურ პრობლემებზე და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე.

კონკრეტულად ამ ინდუსტრიის შემთხვევაში, საქმე გვაქვს უპრეცედენტო ფაქტთან: ბაზრის კეთილსინდისიერი მოთამაშეები, ანუ კეთილსინდისიერი ბიზნესი, ითხოვს რეგულაციების არათუ შერბილებას, არამედ გამკაცრებას და შემდგომში მათ აღსრულებას. აქვე ხაზგასასმელია ბოლო პერიოდში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძალისხმევა – ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის ხარისხის მონიტორინგის კუთხით. თუმცაღა შედეგი ცხადყოფს, რომ არსებული რეგულაციები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროცედურები აბსოლუტურად მოძველებულია და ისინი ვერ უძლებენ ვერანაირ კრიტიკას. აუცილებელია, ევროპული გამოცდილების გაზიარების გზით, იმპორტირებული თუ ადგილობრივი წარმოების საწვავის ხარისხის კონტროლის ძირეულად განსხვავებული მექანიზმების შემოღება და მათი განუხრელი აღსრულება.

2019 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ აღებული საწვავის სინჯების ანალიზის შედეგები ჩვენ უკვე გავუზიარეთ საზოგადოებას. როგორც ველოდით, სამწუხაროდ, დიზელის საწვავში ყოველი მე-4 სინჯი არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პარამეტრებს და გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობა (ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური მახასიათებელი) საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებ ზღვარს თითქმის 30-ჯერ აღემატებოდა. ამ მაჩვენებელს თუ ევროპაში მოქმედ დიზელის საწვავის სტანდარტს შევადარებთ, ვნახავთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ აღებულ დიზელის საწვავის სინჯში გოგირდის შემცველობა 150-ჯერ აღემატება ევროპულ ქვეყნებში დაშვებულ სტანდარტს. ხაზგასასმელია, რომ ამ ოდენობით გოგირდის შემცველობის საწვავს მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა არ აწარმოებს და ის ფაქტი, რომ ამ ხარისხის საწვავის რეალიზაცია საქართველოში ხდება, უდავოდ ითხოვს შესაბამის მოკვლევას და სწრაფ რეაგირებას.

2020 წლის აპრილსა და მაისში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ აღებული დიზელისა და ბენზინის საავტომობილო საწვავის სინჯების შედეგებითაც საგანგაშო ვითარებაა: ორივე ტიპის საწვავში, ყოველი მესამე სინჯი შეუსაბამოა ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ ხარისხობრივ სტანდარტებთან, ანუ, მომხმარებელი იღებს უხარისხო საწვავს, გამოუსწორებლად ზარალდება ქვეყნის ეკოსისტემა, შესაბამისად მნიშვნელოვნად ზიანდება თითოეული ჩვენგანისა და მომავალი თაობების ჯანმრთელობა და სხვა.

ამას გარდა, ბუნებრივია, რომ უხარისხო საწვავის არსებობა ძირს უთხრის კონკურენტული გარემოს არსებობას და მნიშვნელოვნად აფერხებს სამართლიანი ბიზნესის წარმოების შესაძლებლობებს. იგი ყოველდღიურად ზიანს აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს და საფრთხეს უქმნის ამ ინდუსტრიაში შექმნილ ათასობით სამუშაო ადგილს.

საქართველოს ბიზნესასოციაცია, საკუთარი მანდატის ფარგლებში, გააგრძელებს ბენზინისა და დიზელის საავტომობილო საწვავის ხარისხთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა-მონიტორინგს და მაქსიმალურად შეეცდება, ხელი შეუწყოს ნავთობპროდუქტების იმპორტისა და რეალიზაციის სფეროში გადაუდებლად აუცილებელი რეფორმების განხორციელებას“, – აცხადებს მიშველაძე.

ნათია ფანჯიკიძე
ბოლშევიკების ეპოქის სექსუალურ „მეამბოხეებს“ შენაჭრის!

ალექსანდრა კოლონტაი

თავისუფალი ქალები ღობეებს ამჯვრევენ

(პირველი გვერდიდან) შინაარსის გადმოცემას სჯობს ფეისბუქის პოსტის სრულად გამოქვეყნება, მით უფრო, რომ მაინცდამაინც ვრცელი არ არის:

„არავის ქორწინებას არ თანავუგრძნობ. თუ ქონებრივი საკითხია, დაქორწინების ნაცვლად ადექი და გინდა შპს შექმენი და გინდა კოლმეურნეობა და თავიდანვე გაანაწილე „დოვლათი“... ქორწინება რომ გაუქმდეს, თან მიჰყვება მილიონი მანკიერება, ათასნაირი ფირმის ანგარიშით დაწყებული, ნეპოტიზმის მასშტაბით შემცირებული. აშორდება ყველას კიტრად ქცევა, თავისუფლების სულის ჩაკვდომა, გაუქმდება გულისტკივილები და გულის წასვლები, „მოღალატის“ კივილი და თმებით თრევა. უბრალოდ არავინ არავის ღალატობს და არავინ არავის „პლუშის“ სათამაშო და კომოდი არ არის.

საჭირო რომ ყოფილიყო, თავიდანვე დაქორწინებულებს გაგვაჩენდა ღმერთი, ხომ ვეგდეთ პლაცენტაში მარტო და ხომ ჩაგვაგდებენ საფლავში მარტოებს, ჰოდა, „დასტოინად“ რა... სიყვარულს მხოლოდ მოუხდება თავისუფლება. მთავარია, შვილების სრულწლოვანებამდე არსებობდეს იურიდიული შეთანხმება: ვინ რა მოვალეობას იღებს თავის თავზე. არაფერი დანარჩენი ერთად ყოფნის სურვილს არ სჭირდება და ვემხრობი ინიციატივას, საერთოდ გაუქმდეს ქორწინება. ჰო, სახარებიდან გაიხსენეთ ქრისტეს იგავი, ფარისევლები რომ შეუჩნდებიან: ქალი, რომელიც რიგრიგობით იყო 7 ძმის ცოლი და შვილი არც ერთთან არ ჰყავდა, „იქ“ ვისი ცოლი იქნებაო. ქრისტე პასუხობს, „იქ“ ქორწინება არ არისო.

მთლიანი იქნება „იქ“ და ბარემ აქვე იყავი მთლიანი და თუ გინდა ცხოვრება, გაატარე შენსავით მთლიანად“.

ამ „პოსტს“ მრავალი გამოხმაურება მოჰყვა, რომელთაგან რამდენიმეს გაგაცნობთ, როგორც მაგალითს: **„ჯვრისწერისას ღმერთის წინაშე გვაფიცებენ ერთგულებას, მხოლოდ სიკვდილმა უნდა დაგაშოროთო და ჩვენც სიკვდილისჯილებივით ვთხოვთ ერთმანეთს ერთგულებას... ნათიამ ჩვენი სათქმელი თქვა“.**

„მე ღობეებს ვერ ვიტან, იყოს სახლები ღობეების გარეშე და სახელმწიოები საზღვრების გარეშე“...

„სიყვარულს თავისუფლება ასულდგმულებს და ვიღაცეებს ეს პირიქით ჰგონიათ“.

„ქორწინება კაცობრიობის ბორკილია“...

გამოხმაურებების პასუხად ქალბატონი ნათია აკეთებს რეზიუმეს: დაოჯახება პარტნიორის ძიების ერთ-ერთი ფორმაა და პრინციპში შეურაცხგვყოფს. ჩვენი იდეალი მთლიანი ადამიანია. ეს შეფასება შესაგდებია პარლამენტებში ყველგან. ოჯახები, ნათესაურ ჯგუფებად გადარჩევის ეტაპი ევოლუციურად გავლილი აქვს კაცობრიობის ცივილიზებულ ნაწილს. ჩემი აზრით უნდა ჩამოშალო ზედმეტი ბიუროკრატია, როცა, თუ ხელი მოწერილი არ გაქვს, არაფრის უფლება არ გაქვს“.

ასეთი გახლავთ ის ტკივილიანი სულის ძახილი თავისი გამოხმაურებებითა და დასკვნით, რომელმაც, როგორც ავტორი და მისი მომხრენი ვარაუდობენ, უნდა შეძრას სრულიად სამყარო. ქართველი ქალბატონები ქორწინების, ამ „კაცობრიობის ბორკილის“ აყრისთვის, დაოჯახების, როგორც „პატრონის ძიების“ წინააღმდეგ, ღობეების დამტვრევისთვის იბრძვიან, რადგან ოჯახად, ნათესაურ ჯგოგებად გადარჩევის ეტაპი გავლილი აქვთ, რადგან ვერ აუტანიათ, რომ როცა ქმართან ხელი მოწერილი გაქვს, არაფრის უფლება აღარ გაქვს და ა. შ. (ამ „არაფერში“ რაც იგულისხმება, ადვილი მისახვედრია).

ერთი სიტყვით, ებრძვიან ოჯახსა და ქორწინებას, ანუ ათი ათასობით წლის წინათ, საზოგადოების წარმოშობასთან ერთად დამკვიდრებულს, ადამიანთა მოდგმისთვის საყოველთაოდ მიღებულს...

აქ ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ, რას გვეუბნება მეცნიერება: **ოჯახი სქესთა სრული თანასწორობისა და სიყვარულის, ქორწინებისა და ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფია, რომლის წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, ურთიერთმხარდაჭერითა და მორალური პასუხისმგებლობით. ამ სოციალური ერთეულის ბიოლოგიურ საწყისს ქორწინება და შობადობა წარმოადგენს.**

ოჯახი აღმოცენდა, პირველყოფილ საზოგადოებაში — შუა პალეოლითში (XII-XI ათასწლეულები), ქორწინების, როგორც სოციალური ინსტიტუტის წარმოშობის კვალდაკვალ. ქორწინების და ოჯახის, როგორც სოციალური მოვლენის პირველი ფორმა წყვილადი ოჯახი იყო — ერთი წყვილის არა მარტო სქესობრივი, არამედ სოციალურ-ეკონომიკური კავშირი, რომელმაც შეცვალა მანამდე არსებული ჯგუფობრივი სქესობრივი ურთიერთობა, მაგრამ წყვილადი ოჯახი მტკიცე არ იყო და ადვილად იშლებოდა. როგორც მყარი სოციალური და მწარმოებლური ჯგუფი — მონოგამიური ოჯახი ჩამოყალიბდა გვიანდელი ნეოლითის ეპოქაში (VI ათასწლეული), როცა კერძო საკუთრების დაგროვებამ პირდაპირი მემკვიდრისთვის მისი გადაცემის მოთხოვნილება წარმოშვა.

რაც შეეხება ქორწინებას, ის საზოგადოებრივი ურთიერთობითა და განვითარების გარკვეულ საფუძველზე კანონით ან ჩვეულებით ნებადართული კავშირია ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც აწესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. **ქორწინების ყველაზე მყარი ფორმაა ცოლქმრული წყვილისა და მათი შთამომავლობის მტკიცე კავშირი მამაკაცის ხაზით.**

ახლა როცა მეცნიერების აზრი გავიგეთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **თუ არ არის ქორწინება, არ არის ოჯახი (ყოველ შემთხვევაში, სრულყოფილი ოჯახი), არ არის ოჯახი, არ არი საზოგადოება (ყოველ შემთხვევაში ნორმალური საზოგადოება)**. ამდენად, ამ ჩვენი ქალბატონების გამოხდომა უფრო მეტია, ვიდრე რაღაცით (ქმრით, ყოფა-ცხოვრებით, სქესობრივი დაუკმაყოფილებლობით, ამა თუ იმ მიზეზით საკუთარი შესაძლებლობების წარმოუჩენლობით, დედამთილთან დაუსრულებდელი ჩხუბით...) უკმაყოფილების გამოხატვა ქორწინების საერთოდ გაუქმების და ამ საკითხის „პარლამენტში შეგდების“ მოთხოვნა.

რაც მთავარია, ეს მოთხოვნა თურმე ეფუძნება ქრისტეს იგავს, რომ „იქ“ ქორწინება არ არსებობს, თუმცა ყოვლად გაუგებარია, ამით რის დამტკიცებას ცდილობენ, იქნებ იმას, რომ თუ „იქ“ ქორწინება არ არსებობს, ამიტომ „აქ“ გავაუქმოთ ქორწინება?

(სიკვდილის წინ დიდმა მსახიობმა აკაკი ვასაძემ იკითხა, ნეტა „იქ“ თეატრი თუ არისო? დიდი ალბათობით, „იქ“ თეატრი არ უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას ამტკიცებს, რომ „აქაც“ გავაუქმოთ არსებული?).

ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ქრისტეს „დამოწმება“ სრულიად უადგილო და მცდარია. ბოლოს და ბოლოს, გავიხსენოთ: მაცხოვარი კანაში ქორწილში იყო და ქალისა და კაცის ერთობა დალოცა. სწორედ იქ მოახდინა პირველი სასწაული — წყალი ღვინოდ აქცია და საქორწინო საჩუქრად მიართვა ახალშექმნილ ოჯახს.

ქორწინება ერთი შვიდ საიდუმლოთაგანია ქრისტიანულ რელიგიაში. ქორწილის რიტუალი 2 ნაწილისგან შედგება: დაწინდვა-დანიშვნისა (ბეჭდების გაცვლა შესაუღლებელ პირთა შორის: ბეჭედი, როგორც წრე, მარადისობას გამოხატავს, მეუღლეთა თითებზე — მათ მარადიულ ურთიერთზრუნვას) და გვირგვინის კურთხევისგან (თავზე გვირგვინის დადგმა გამოხატავს ვნებების დათრგუნვას, ჯილდოს იმისთვის, რომ მათ ქორწინებამდე კეთილსინდისიერად იცხოვრეს).

ქრისტიანული რელიგია ქორწინების საიდუმლოთი შეკრულ ცოლქმრულ კავშირს განიხილავს, როგორც სულიერ კავშირს ეკლესიასთან (ქრისტე — სიძე, ეკლესია — რძალი). მართლმადიდებელი ეკლესია რჯულიერ ქორწინებას ძალიან იშვიათად აუქმებს (მაგალითად, რომელიმესგან ღალატის შემთხვევაში), ხოლო კათოლიკური ეკლესია საერთოდ არ აუქმებს.

მაცხოვარმა ფარისეველთა გამოსაცდელ შეკითხვაზე, „თუ არის ნებადართული კაცისთვის, გაუშვას ცოლი ყოველგვარი მიზეზითო, მიუგო: არ წაგიკითხავთ, რომ შემოქმედმა დასაბამიდან კაცად და ქალად შექმნა ისინი? ამიტომ მიატოვებს კაცი თავის დედ-მამას და შეერთვის თავის ცოლს და იქნებიან ორივენი ერთ ხორც. ამიტომ, ვინც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ განაშორებს მათ (მთ. 19: 3-7)... ვინც გაუშვებს თავის ცოლს და სხვას შეირთავს, მის მიმართ მრუშობს და თუ ცოლი გაექცევა თავის ქმარს და სხვას გაჰყვება, მრუშობს (მარკ. 10:10-18).

ქრისტიანული ეკლესიის დამფუძნებელი, ეკლესიის დიდი ავტორიტეტი, მოციქული პავლე გვარიგებს: **„ცოლი არ გაეყაროს ქმარს, ხოლო თუ გაეყაროს, დაე უქორწინოდ დარჩეს, ანდა ქმარს შეურიგდეს... ცოლი რჯულით შეკრულია, სანამ ცოცხალია მისი ქმარი, ხოლო თუ ქმარი მოუკვდება, თავისუფალია, გაჰყვეს ვისაც უნდა, ოღონდ უფალში (I კორ. 7:39).**

ამრიგად, ქრისტე და ქრისტიანობა დაქორწინებას და ოჯახს კი არ აყენებს ეჭვქვეშ, პირიქით, ქორწინების სიწმინდესა და ოჯახის სიმტკიცეს მოგვიწოდებს. ისე რომ, პირდაპირ საოცარია, საიდან მოუვიდათ თავში ასეთი მკრეხელობა! ალბათ, ეს ის შემთხვევაა, როცა შეიძლება მაცხოვრისავე სიტყვებით შეუნდო: „მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან“. თუმცა, ძალიან კარგადაც იციან, რომ ბოროტებას (და არა უბრალოდ მკრეხელობას) ჩადიან, უმიზნებენ საზოგადოების უმთავრეს საფუძველს — ოჯახს.

ოღონდ აქ მთავარი ის არის, რომ რასაც ეს ქალბატონები ასე გააფთრებით ითხოვენ, ანუ ოჯახისა და ქორწინებისგან გათავისუფლებას, სრულიად არ არის სიახლე და ორიგინალური რამ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბევრი ასეთი მოთხოვნა და ლოზუნგი იშვა, თუნდაც, „ჭიქა წყლის თეორია“, რასაც ცნობილ ბოლშევიკ ქალებს კლარა ცეტკინსა და ალექსანდრა კოლონტაის უკავშირებენ. მისი არსი ასეთია: სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება ისეთივე მარტივი, უპრობლემო რამ უნდა იყოს, როგორც ჭიქა წყლის დალევაო. მოითხოვდნენ ქორწინების, ოჯახის გაუქმებას. ამას პრაქტიკული ქმედებანი მოჰყვა.

1918 წლის აპრილში ევროპული გაზეთების პირველი გვერდები აჭრელდა სათაურებით „პოლიგამია საბჭოურად“, „ბოლშევიკებმა ქალთა განსაზოგადოებრიობა შემოიღეს“, „სახკომსაბჭომ პროსტიტუცია დააკანონა“ და ა. შ. დასტებად ბეჭდავდნენ დეკრეტის **„რუსეთის ქალთა და ქალიშვილთა განსაზოგადოებრიობის შესახებ“** სხვადასხვა ვარიანტს.

სექსუალური რევოლუციის (ეს ტერმინი XX საუკუნის I ნახევარში შემოიღო ავსტრიელმა ფსიქოლოგმა ვილჰელმ რაიხმა) ათვლის წერტილად 1960 წელი მიიჩნევა, როდესაც ჰიპების მოძრაობა წარმოიშვა. რუსეთში **„მგრძნობიარობის ამბოხი“** (ლენინის ტერმინია) გაცილებით ადრე — 1910-იანი წლების ბოლოს დაიწყო, აპოგეას უკვე საბჭოთა კავშირში მიაღწია 1920-იან წლებში. „დეკრეტი რუსეთის ქალთა და ქალიშვილთა განსაზოგადოებრიობის შესახებ“ 1918 წლის 28 თებერვლს გამოჩნდა ქალაქ სარატოვის ქუჩებში. ფურცლებით მოფენილი იყო ქალაქის მთელი ცენტრი. ხელს აწერდა ანარქისტთა თავისუფალი გაერთიანება (ანარქისტები მაშინ ბოლშევიკებთან ბლოკში იყვნენ). დაწერილი იყო რევოლუციური ლაკონურობით, მკაცრი სტილით, შეიცავდა პრეამბულასა და 19 პარაგრაფს. პირველ სტრიქონებშივე ახსნილი იყო დოკუმენტის გამოცემის მოტივი: **„სოციალური უთანასწორობისა და რევოლუციამდელი ქორწინების უსამარ-**

კორონავირუსით დაავადებულ ბიუჯეტს ჩვენი შვილების მომავლისთვის განკუთვნილი დოვლათი არ უნდა გავაფლანგვინოთ!

ფულს კარგად დათვლა უყვარს...

საქართველოს პარლამენტში მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საყოველთაო განსჯის საგანია... 2020 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია და ნაცვლად ზრდისა სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებით შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის შემცირებამ 3-5% მიაღწიოს, ხოლო საქართველოსთვის პროგნოზირებენ რეალური მშპ-ს შემცირებას 4,0 პროცენტით, შემოსავლების დანაკლისს 1,7 მლრდ ლარზე მეტით, არსებულ ბიუჯეტში მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირებას 600.0 მლნ ლარამდე ოდენობით და საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსის მოძიების აუცილებლობას 3,4 მლრდ ლარამდე. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, მიმდინარე წელს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი 8.5%-ითაა განსაზღვრული. რაც იქნა წარდგენილი განსახილველად, ნაერთი ბიუჯეტით გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურების ხარჯების 57 მილიონი ლარით, ხოლო სხვა ადმინისტრაციული ხარჯების (საქონელი და მომსახურების მუხლი) 107 მილიონი ლარით კლება, საიდაც ბიუროკრატიული ხარჯების შემცირების მნიშვნელოვანი წილი ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებზე მოდის. სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილების პროექტით კი შრომის ანაზღაურების ხარჯები 21,7 მილიონი ლარით, ხოლო სხვა ადმინისტრაციული ხარჯები დაახლოებით 58 მილიონი ლარით იკლებს (სამივლინებო ხარჯი, წარმომადგენლობითი ხარჯი, საოფისე ხარჯი, ავტოპარკის ხარჯი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ხარჯი და სხვა), ამასთან საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილება არ იგეგმება, ხოლო ზოგიერთი ხარჯის გაწევა ისედაც შეზღუდული იყო საგანგებო მდგომარეობის გამო. შრომის ანაზღაურების ხარჯებში ყველაზე დიდი ეკონომია იგეგმება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (-5 მლნ), იუსტიციის სამინისტროს (-3,8 მილიონი) და ჯანდაცვის სამინისტროს (-2,8 მილიონი) ხარჯებში, ხოლო ქამრების შემოჭერა ნაკლებად შეეხო ძალოვან სტრუქტურებს, ზოგიერთ უწყებას (მაგ. მეცნიერებათა აკადემია), პირიქით გაეზარდა. ვნახოთ რას დაამტკიცებენ... ნამდვილად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საგანგებო ბიუჯეტის ნახევარზე მეტი სესხებითაა დაბალანსებული.

როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული, პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც კერძო სექტორზე, ისე მოქალაქეების მდგომარეობაზე. შესაბამისად, აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის, ასევე, ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის. აღნიშნული მიზნებისათვის დამატებით საჭირო ხარჯებმა შეადგინა დაახლოებით 3,4 მლრდ ლარამდე.

კერძოდ ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად ბიუჯეტში ასახულია:

- **იმ მოქალაქეების დახმარებისთვის, რომლებიც დაქირავებით დასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ და დაკარგეს ხელფასი, 6 თვის განმავლობაში 200-ლარიანი დახმარების გასაწევად გათვალისწინებულია 450,0 მლნ ლარი;**
- **სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით დაწესებული საშემოსავლო გადასახადის შემცირება — 250,0 მლნ ლარი (ასახულია საშემოსავლო გადასახადის მაჩვენებლებში);**
- **თვითდასაქმებულთა ერთჯერადი 300-ლარიანი დახმარებებისთვის — 75,0 მლნ ლარი;**
- **მოსახლეობის კომუნალური ხარჯების სუბსიდირებისთვის — 170,0 მლნ ლარი;**
- **65-დან 100 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახების დახმარება (ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად) 6 თვის განმავლობაში — 48,0 მლნ ლარი;**
- **100 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების 100-ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში — 13,0 მლნ ლარამდე;**
- **მკვეთრად გამოხატული შშმ პირების და შშმ ბავშვების 100-ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში — 24,0 მლნ ლარი;**
- **StopCoV ფონდის ანგარიშზე მობილიზებული თანხა — 133,5 მლნ ლარი (ასახულია როგორც სხვა შემოსავლების, ისე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მაჩვენებლებში);**
- **საკარანტინო სივრცეებით მომსახურების ანაზღაურებისა და ფრენების სუბსიდირებისთვის — 45,0 მლნ ლარი;**
- **ვირუსის გავრცელების პრევენციისა და ჯანდაცვის ხარჯებისთვის — 285,0 მლნ ლარი;**
- **ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მზადყოფნის გაუმჯობესებისთვის 60,0 მლნ ლარი;**
- **საკრედიტო-საგარანტიო სქემის დასაფინანსებლად — 330,0 მლნ ლარი;**
- **სასტუმროების საპროცენტო ხარჯის სუბსიდირებისთვის — 70,0 მლნ ლარი;**
- **ტურისტული ობიექტების ქონების გადასახადისგან გათავისუფლება — 45,0 მლნ ლარი (ასახულია საგადასახადო შემოსავლებში);**
- **მცირე გრანტების გასაცემად — 20,0 მლნ ლარი;**
- **სამშენებლო სექტორის მხარდაჭერა (მათ შორის დევნილთა სახლების გაზრდილი შესყიდვები) — 40,0 მლნ ლარი;**
- **სოფლის მეურნეობის სექტორის ხელშეწყობა — 139,0 მლნ ლარი;**
- **დღგ-ს დამატებით დაბრუნებისთვის — 600,0 მლნ ლარი (ნაწილობრივ დაბრუნდება ამ მიზნებისთვის არსებულ ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, ხოლო ნაწილი ასახულია საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლებში);**
- **კომერციული ბანკებისთვის ლარის გრძელვადიანი ლიკვიდობის შესაქმნელად — 600,0 მლნ ლარი (ასახულია საშინაო ვალისა და დეპოზიტების მაჩვენებლებში);**

* * *

მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს, მაგრამ ჯერ არ გამოკვეთილა, ვისთვის ოპტიმისტურია და ვისთვის პესიმისტური სცენარი... მთავარია, რეალობას არ მოვწყდეთ: ჯერ კრიზისია სამართავი და მერე პოსტკორონა ანტიკრიზისული გეგმით შემდგომი განვითარება.

უნებურად, დიდი ილიას ხატოვნად ნათარგმნი ვილჰელმ ლაიბნიცის სიტყვები მახსენდება: **„აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“...**

თუ მერმისის ჭრილში განვიხილავთ ყოველივეს: სამი ათეული წელია, წარსულიდან რაც მოგვდგამდა — ძირითადად გავანიავეთ ან არამწარმოებლურად მოვიხმარეთ, მიმდინარე შემოსავლები — ისედაც მწირია და დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების პირობებში, კვლავ შემცირებისკენ იხრება — პროგნოზირებენ მასობრივ გათავისუფლებებს, თანაც ამ შემოსავლების დიდი წილი „მომავლიდან ნასესხები“ თანხებით მიმდინარე აუცილებელი (შეიძლება პარაზიტულიც) ხარჯების დასაფარად გამოიყენებოდა — საბანკო სექტორი მაინც ინარჩუნებს პოზიციებს, თუმცა მისი მკვებავი კვაზისაშუალოთა ჩანასახოვანი ფენიდან უმეტესობა კატასტროფის პირასაა — ამას პროცენტის გადავადება ნაკლებად უშველის...

დაბოლოს, რას გვთავაზობენ წლის ბოლომდე — ერთი მხრივ, ბიუჯეტის შეკვეცას, მეორე მხრივ, უკვე გაწეული ხარჯების ჩამოწერასა და ახალი ვალის ხარჯზე ჯამში დანახარჯების გადიდებას...

სესხი ნამდვილად არაა საშიში, არც ბიუჯეტური ხარჯების ცალკეულ მიმართულებებზე შემცირება — მთავარია, ოპტიმალობასა და რაციონალობას არ იყოს მოკლებული თითოეული... ვალების წილი მშპ მიმართ სხვა ქვეყნებზე განსაკუთრებული მეტობით არ ხასიათდება — პირიქით, თუმცა განსხვავებულია ეკონომიკის მასშტაბიც და ისიც სათქმელია, რაში ვიყენებთ მათ: აქამდე დიდი ეფექტიანობით ვერ დავიკვეხნით — შევარდნაძის დროს მოსახლეობის სოციალურ საჭიროებებზე იხარჯებოდა ძირითადად, მიშამ — 2008 წლის ომზე და კრიზისზე ჩამოწერა, რაც ვერ განახორციელა, ახლა, ვნახოთ, როგორ გამოვიყენებთ, რასაც გვასესხებენ და დაგვეხმარებიან...

მთავარია, მიმდინარე პრობლემებზე აძცენტირებით ჩვენი შვილების მომავლიდან არ გავფლანგოთ და შედეგიანად გამოვიყენოთ ძვირფასი დოვლათი... საინტერესოა, 2021 წლის ბიუჯეტის საბაზისო მაჩვენებლებს როგორს შევკრავთ ამ ზაფხულს და ლარის კურსის მკვეთრი რევერსებით ისედაც ტურბულენტურ გარემოს დავამძიმებთ ცალკეული სეგმენტისთვის, თუ უფრო დაბალანსებულს გავხდით...

იმპორტჩანაცვლება გრძელვადიანი ამოცანაა, ექსპორტის შეფარდებითი ზრდაც ბევრი ვერაფრის მომცემია საერთო რეცესიის ფონზე — მანამდე იმპორტის შემცირება დეფიციტის წინაპირობად შეიძლება იქცეს რიგ საქონელზე... მთავარია, ყაირათიანად გავუძღვეთ ეკონომიკას. წინასაარჩევნოდ იმედია, პანდემიის ტალღები არ შემოგვეჩვევა ან ჩვენ შევეჩვევით ახალ გარემოებებს...

ალეკო ასლანიშვილი

თემურ ხომერიკი,
ეკონომიკის ექსპერტი,
პროფესორი



მოსახდენი მოხდება,

ანუ ჰოპლა არ უნდა წამოიძახო მანამ, სანამ გადახტები!

მოსახდენი მოხდება! — იქნება ის, რაც ღმერთს სწადია! — ასრულდება ის, რისთვისაც ჩვენ, ქართველი ხალხი ვლოცულობთ და რისკენაც მივისწრაფვით, — გვექნება მრავალპარტიული პარლამენტი! — გვეყოლება გერგილიანი — მარჯვე, გამრჯე კოალიციური მთავრობა! მადლობა ღმერთს!

ისევე, როგორც 2012 წელს, 2020 წელსაც საპარლამენტო არჩევნები სამართლიანად ჩატარდება. ამის საფუძველია 2019 წლის 8 მარტს, ხელისუფლების მაღალჩინოსნების და საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ლიდერების შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმება, რომელსაც ესწრებოდნენ მეგობარი ქვეყნების ელჩები. რაც პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის და თავმჯდომარის, ქველმოქმედი კრეზის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ამაგია. მთავრობა კი შესაბამისად მოქმედებს. მას გათვითცნობიერებული აქვს, თუმცა ამას არ იმჩნევს, რომ კოალიცია „ძალა ერთობაშიას“ სახით ძლიერი მეტოქე ჰყავს. „ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ ხსენებისას აჟრჟოლებს, გაგონებაზე — ელეთმელეთი მოსდის. ცდილობს მათი სახელის გატეხას. წინასაარჩევნოდ ბევრ მუხანათურ ხრიკს მიმართა, რათა გაცხადებული შედეგი — ამომრჩეველთა ხმების 40%-ზე მეტი მიიღოს ერთპარტიული მთავრობის ჩამოსაყალიბებლად. ამიტომ, ჯერ ერთი, არჩევნების შერეული — მაჟორიტარული და პროპორციული სისტემის, დანაელთა — მიმღებისთვის სახიფათო, — საჩუქარი შესთავაზა, — პრეზიდენტმა პარტიების ჩასაძირად მისივე შექმნილი პოლიტიკური ინტრიგების მორევში ღრმად შეტოპა, მიზანს ვერ მიაღწია და სიქაგამოლეულმა დიდი დავიდარაბით უკან ძლივს გამოაღწია, — ზოგი პარტიის ლიდერს ეჟვანი შეაბა. და, მეორე — წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით გამოყენებისთვის ნასამართლევი და დატუსაღებულები, ყავლის გასვლის შემდეგ ხელმეორედ განამწესა სატუსაღოში. თუმცა ამერიკელი კონგრესმენებისა და ევროპარლამენტარების ზეგავლენით მალე გაათავისუფლა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ყოველგვარი ხრიკების გარეშე სამართლიანად ჩაატარა. რაც საქართველოს მე-3 პრეზიდენტის დამსახურებაა. მას, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას, შეეძლო, გაეყალბებინა არჩევნები, ხელისუფლებაში მე-3 ვადით დარჩენილიყო, საამისოდ ყველანაირი ბერკეტი გააჩნდა, მაგრამ ეს არ ქნა! — ხელი არ შეუშალა კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლას! ქვეყანა, სადავე დათმო და ოპოზიციაში გადაინაცვლა. უნდოდა, მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა, ევროპული ფასეულობების მატარებელი და იმსახურებს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი, ღირსეული წევრი გახდეს. მაგრამ, მისი აზრით, „ქართულმა ოცნებამ“ რკინიგზის ისარი გადაწია, მატარებელი სხვა რელსზე გადაიყვანა და მიმართულება შეუცვალა. ამჟამინდელი გამონათქვამებიდან გამომდინარე, თავის საქციელი შეცდომად შეაფასა — მან ვერ განჭვრიტა, რის მქმნელი იყო „ქართული ოცნება“. და, ამბობს: „ჩემობას იმას ვინანი, კაცი ვერ ვიცან ვინ არი“.

მჯერა, რომ ამომრჩევლების უმრავლესობა არჩევნებში გამარჯვებულ, პარლამენტში შესულ პარტიებს, დეპუტატობის მანდატებს მათ მიერ სამოღვაწეო ასპარეზზე წარმოჩენილი საქმეების მიხედვით, სრული შესაბამისობით გაუნაწილებს.

„ქართული ოცნება“ დაქირავებული პანეგერისტებისგან, — გადაჭარბებით შექების მთქმელების და მწერლებისგან, გაგულადდა, — თავი ქუდში ჰგონია და ჰოპლაო! გადახტომამდის წამოიძახა. — კოვზი ნაცარში რომ არ ჩაუვარდეს, იმედგაცრუებული რომ არ დარჩეს — ადმინისტრაციული რესურსი ბოროტად არ უნდა გამოიყენოს, — ბიზნესმენებისგან ფული არ უნდა ამოყაჭოს და ამომრჩევლების მოსყიდვას არ უნდა შეეცადოს, — ქიმერას! — უნაყოფო ოცნებას ნუ ებღაუჭება, — ბევრს ნუ ნდომობს! ანდაზაა: ბევრის მდომმა ცოტაც დაკარგაო. „ვინც თავი დაიმდაბლა, იგი ამაღლდა“.

ახლა ჩვენ, ამომრჩევლებს, გვინდა, რომ პარლამენტში შესული, ერთმანეთთან არაკეთილმოსურნედ, ანტაგონისტურად განწყობილი პარტიები — კინკლაობა-ქიშპობას შეეშვან; ერთმანეთის მიმართ — შემწყნარებლები, მიმტევებლები გახდნენ. ყოველი პარტიის საქმიანობას, ქვეყანაში თავისთავად წარმოშობილი დაძაბული ვითარების დროს თან ახლავს ნაკლოვანი მოქმედებები. რეალობას თვალები გაუსწორონ! შეთანხმებულად იმოქმედონ, — გამონახონ სამოქმედო პროგრამის საერთო, მათთვის მისაღები, პლატფორმა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. სხვაგვარად იზარალებს ქვეყანა და ხალხი.

მთავრობამ პირველ რიგში, კორონავირუსის გამო შეყოვნებული, ეკონომიკა ააღორძინოს და ფეხზე დააყენოს. რეგიონებისთვის შესაფერი დარგები განავითაროს და ხალხი დაასაქმოს. ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა ისეთი შეცდომები არ ჩაიდინონ — ჟამი რომ დარეკავს, სამოთხეში არ შეუშვან, ჯოჯოხეთში ხელი დაუქნიონ. შეცდომის დაშყების შემთხვევაში ცოდვილის სიფათი არ მიიღონ თავის გასამართლებელი სიტყვების ღეჭვა არ დაიწყონ, — ყურები არ ჩამოყარონ, — უმალ გამოასწორონ! ერთმანეთს გვერდით დაუდგნენ. ქვეყნისთვის და ხალხისთვის კარგი საქმეები აკეთონ.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე-მფარველი! ამინ!!!

ოთარ შონია,
არქიტექტორი
571 390592

P.S.

„ქართულ ოცნებას“ შემომწირველები ბევრი ეყოლება, — ფულში დაიხრჩობა. ოპოზიციურ პარტიებში კი ქესატობა — უფულობა იქნება.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის პანდემიის პირობებში მთავრობამ შეზღუდვები შემოიღო. მთავარ პრიორიტეტად ადამიანის ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე ზრუნვა გამოაცხადა. შეუსაბამობა და პარადოქსია — ადამიანის სიცოცხლეზე ზრუნვის გამოცხადება და ამავდროულად, ერთბაშად, წამლებზე ფასების გაორმაგება! რა ქნან მცირეხელფასიანებმა და რა ვქნათ პენსიონერებმა, აფთიაქების ხშირმა სტუმრებმა, როდესაც ხმარებაში მყოფ, ძვირადღირებულ წამლებზე გაორმაგებული ფასები გვხვდება?! ცხოვრების გაძვირებას გავუძლებთ — „არ შევჭამთ ხიზილალას და თართს“ — პურით გავიტანთ თავს, მაგრამ რა ეშველება უწამლობას?! — გინდ კორონავირუსს მოვუკლივართ, გინდ უწამლობას. — „გინდ მგელს შევუჭამივართ, გინდ მგლისფერ ძაღლსაო“...

ო. შ.

ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲐ

მდაბიური მსჯელობით გაჯერებული სიცრუე

ბოლო პასუხი ელბერდ ბატიაშვილს!

პატივცემულო მკითხველო! უწინარესად მინდა წარმოგიდგინოთ „ოპონენტის“ მორიგი პასუხის სათაური და პირველი აბზაცი (გაზ. „ს.რ“, 15 ივნისი), რათა ერთხელ კიდევ „ისიამოვნოთ“ მისი ალოგიკური აზროვნებით: „ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო.“ „ილია ჭავჭავაძე რომ გენიოსი მოაზროვნეა, ამ ფაქტითაც მტკიცდება: მან წინასწარ განჭვრიტა — გლახა ჭრიაშვილები არც ჩვენ ეპოქას მოაკლდებოდა. ამის მაგალითი რ. გოგოხიაა...“ აქ, როგორც იტყვიან, კომენტარიც ზედმეტია, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ასეთი პრიმიტიული მსჯელობით მან თავის წინაპარ ჭრიაშვილსაც გადაუჯოკრა და გენიალური ილიაც კი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა... ბატონ ელბერდს უნდა მოეხსენებოდეს, რომ „ფრაზები მტკიცებულებების გარეშე, ეს იგივეა, რაც მუსიკა ინსტრუმენტების გარეშე“. მაგრამ, რა ქნას, ეტყობა, მას გლახა ინფორმატორი ჰყავს.

მეორე აბზაციდან იწყება მდაბიური ჭორაობა, რასაც იოტისოდენა კავშირი არა აქვს რეალობასთან. მივყვეთ ავტორისეულ ტექსტს: „გაზეთის წინა წერილში (11.05) მან ხომ ზვიად გამსახურდიას მტრობა „ილიალოგთა კლუბს“ რაღაც მოთრეული აბსურდით — „მეგრული კუთხურობის“ სიძულვილით დაგვაბრალა, ახლა ამას ზედ დაამატა ჩემი გვარ-სახელის უნიჭო და უბადრუკი გასარჟებაც“ (1.06)... მკითხველო, ამ ერთ აბზაცში, სულ ცოტა, სამი დიდი სიცრუეა: 1. ზვიად გამსახურდიას მტრობა „ილიალოგთა კლუბს“ დაგვაბრალაო. არავითარი მსგავსიც კი, მე მხოლოდ პირადად მას ვედავები ყურით მოთრეულ ბრიყვულ ფრაზაში — „პრეზიდენტმა თავიც დაღუპა და ქვეყანაცო“. ამ საშინელ ბრალდებაზე მან ვერაფერი პასუხი ვერ გამცა (ან რა პასუხი უნდა გაეცა)... როგორც საცივის ჯამში ჩადებული თუნდაც ოქროს კოვზი ვერ გაიგებს საცივის გემოს, იგი ვერასოდეს ჩასწვდება ზვიადის სიდიადეს...

2. „გამსახურდიას მტრობა... მეგრული კუთხურობის სიძულვილით დაგვაბრალაო“, არავითარი მსგავსი, ესეც მორიგი ტყუილია.მე სათანადო წყაროების დამონმებით ჩამოვთვალე ანტიეროვნული ბანდები, რომელთაც დაამხეს ეროვნული ხელისუფლება. მათთან ერთად მოვიყვანე ერთი პოეტის გულწრფელი აღიარება — ქართველების გარკვეულმა ნაწილმა ვერ ვიგუეთ პრეზიდენტის მეგრულძირობა და მივიღეთ ქვეყნისთვის სავალალო შედეგიო. თქვენ თუ რომელიმე მათგანში მოიაზრებთ თავს, ეს თქვენი გადასაწყვეტია...

3. გვარ-სახელების გაშარჟება საერთოდ არ მჩვევია, მით უმეტეს, რომ თქვენ გვარშიც მეგულება ღირსეული ადამიანები.

რაც შეეხება „კაცია-ადამიანს?!“ — სამწუხაროდ, თქვენ ვერ ჩაწვდით ილიასეულ იუმორით სავსე ჩანაფიქრს, როცა წერთ — „ადამიანები კი არიან, მაგრამ კაცები — არა!“ ბიბლიაში გარკვევით წერია, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად და რომ ადამიანის უწინარესი ფუნქციაა, იყოს ადამიანი, ადამიანური, ასეთია ილიასეული უტყუარი დასკვნაც. რაც შეეხება ჩემ კაცობას, ეს სავსებით აღემატება კაცობის თქვენეულ თეორიულ გაგებასაც კი...

ყოვლად მიუღებელი და საზიზღრობაა თქვენი აღმატებული ტონით თუ ნიშნის მოგებით წარმოდგენილი სტრიქონები: „თვითონ პირველ პრეზიდენტს კი როგორც კრიმინალს (ბრჭყალებში მაინც ჩაგესვათ კრიმინალი) სპეცრაზმელები მოსაკლავად დასდევდნენ და მერე მოკლეს კიდეც“! — ყოჩაღ, ბატონო ელბერდ! — „დანაშაული ჩაიდინა — კაცი მოკლა თავისთავში“, სწორედ რომ თქვენზეა ნათქვამი. და ერთი სიბრძნეც უნდა შეგახსენოთ: „ადამიანი სიტყვით დგას ცხოველზე მაღლა, მაგრამ თუ სიტყვები არასწორად გამოიყენება“... საშინელებაა.

მორიგი შანტაჟი ილია მართლის ჩრდილს ამოფარებული „ოპონენტისა“: „არც შენი იცოდე და არც სხვისი შეისმინო!“.. ამაზეა ლაპარაკი(!) ჩემს მონოგრაფიაში „ილია და საქართველო“, ასე რომ გაანაწყენა(!) „პირველი მოადგილე“, არადა, ილია გყავდეს და არ გამოიყენო, ეს ხომ სიბრიყვეა და მეტიც...“

დიახაც რომ არამხოლოდ სიბრიყვეა, არამედ დანაშაულიც,თუმცა ჩემ წრეში მე არ მეგულება პიროვნება დიდი ილიას ამოუწურავი სიბრძნეებით არ სულდგმულობდეს. რაც შეეხება ილიას შემოქმედებისადმი მიძღვნილი თქვენი ტომების შეფასებას, უწინარესად, პროფესიონალთა საქმეა. მე კი როგორც დიდი ილიას შემოქმედების მოტრფიალე, კეთილი განწყობით შევუდექი თქვენი ნაშრომიდან ამონარიდის კითხვას, თუმცა იქვე დავსვი წერტილი, სადაც თქვენ ყველა ნორმალურად მოაზროვნე ქართველისათვის აბსოლუტურად მიუღებელი — „ზვიადმა თავიც დაღუპა და ქვეყანაც“ — უაზრობა დაადასტურეთ და არც გიცდიათ ამის უარყოფა და არც სინანული გამოგიხატავთ. თუმცა, ამისთანა „წვრილმანებისთვის“ სად გცალიათ — გენიალური რუსთაველის აფორიზმებში კორექტივების შეტანით ხართ დაკავებული. აი, ფაქტიც — „ერთში კი დავეთანხმები რუსთაველის სიბრძნეს (რა დიდი შეღავათია?!, რ.გ.), რომ გვახსენებს — „კოკასა შიგან რაცა სდგას...“, მაპატიოს რუსთაველის სულმა (ამას ნამდვილად ვერ გაპატიებს, რ.გ.), მაგრამ ამ „კოკაში“ თუ გოგრაში!“, როცა, არაფერი დგას, მაშინ რაღა წარმოსდინდება“?! აი, ასე „ანვითარებს“ იგი რუსთაველის საყოველთაოდ აღიარებულ სიბრძნე-აფორიზმს. მაგრამ, რას იზამ, საკუთარი თავის ზედმეტი სიყვარული ადამიანურობის მტერია. ელბერდ ბატონო, მოიცილეთ თვითგანდიდების მანია, ასევე თქვენ მიერ თავდასაცავად მოგონილ ფრაზებს ნუ მიაწერთ სხვას და დისკუსიაში ნუ იყენებთ ყველაზე საზიზღარ მეთოდს — „სიცრუეთა კორიანტელით ოპონენტზე შეტევა გამარჯვების საწინდარია“. ფრთხილად! ეს სატანური მეთოდია. ამიტომაც, თქვენთან კამათს არავითარი აზრი არა აქვს: „ცდა, უხამს ადამიანზე დახვეწილი სიტყვებით იმოქმედო, იგივეა, რაც სამართებლით ლოდის რანდვა“.

დასასრულ, შეგახსენებთ, რომ ცილისწამება, რაც ასე უხვად გადმოაფრქვიეთ, თანაც საჯაროდ, ქართული პრესის ფლაგმანში, საქართველოს კანონმდებლობით, მკაცრად დასჯადია. ფრთხილად იყავით, კვლავაც მონანიებისკენ მოგიწოდებთ. როგორც პეტრე მოციქული ბრძანებს, უფალი სულგრძელია ყველასადმი და არ სურს, ვინმე დაიღუპოს, „არამედ ყველა მოვიდეს მოსანანიებლად“ (პეტრე, 3,9).

იცოდეთ, უღმერთობა საკაცობრიო დანაშაულია.

რევაზ გოგოხია.

P. S. მკითხველიც გადავღალეთ და გაზეთიც გადავტვირთეთ, რისთვისაც ჩემ წილ ბოდიშს ვიხდი.
რ.გ.

ROCA

ქართველ მეცნიერს მსოფლიო აღიარებს...



ახლახან 80 წელი შეუსრულდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორს, მ. საბაშვილის სახელობის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ თენგიზ (გიზო) ურუშაძეს.

ბატონი თენგიზ ურუშაძე დაიბადა 1940 წლის 14 იანვარს, ქ. თბილისში, ცნობილ ინტელექტუალთა ოჯახში. მამა – თევდორე ურუშაძე, დედა – ნინო მშვენიერაძე ორივე მეცნიერი, ინჟინერ-ქიმიკოსი, მეცნერებათა დოქტორები ქიმიის მიმართულებით წარმატებით მოღვაწეობდნენ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

თევდორე და ნინო ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მათ ერთადერთ ვაჟს კარგი განათლება მიეღო. 1957 წელს თენგიზი ოქროს მედალზე ამთავრებს თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლას, ამავე პერიოდში ღებულობს მუსიკალურ განათლებას. 1963 წელს იგი წარჩინებით ამთავრებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო მეურნეობის ფაკულტეტს, 1967 წელს – ასპირანტურას, 1990 წელს კი – უცხო ენების ინსტიტუტს, ინგლისური ენის სპეციალობით.

შრომითი საქმიანობა სამთო მეტყევეობის ინსტიტუტში დაიწყო, იყო უმცროსი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე, 1982 წლიდან – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე, პროფესორი, პრორექტორი, რექტორი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის და ნიადაგების გეოგრაფიის ლაბორატორიისა და კათედრის გამგე, 1992 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველია ეკოლოგიის საკითხებში.

თ. ურუშაძე 1967 წელს მოსკოვში (გეოგრაფიის ინსტიტუტი) დიდი წარმატებით (ფარული კენჭისყრით), იცავს დისერტაციას, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1980 წელს (მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

თ. ურუშაძეს აქვს 50 წელზე მეტი ხნის გამოცდილება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით, რომელიც მოიცავს ნიადაგმცოდნეობას, ეკოლოგიას, აგროეკოლოგიას და მეტყევეობას. იგი მშობლიურ და უცხო ენებზე გამოცემული 400-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 50-ზე მეტი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია. მისი რედაქტორობით, 1999 წელს მომზადდა და გამოიცა საქართველოს ნიადაგების (მასშტაბი 1 : 500 000) რუკა. რუკის და მისი ლეგენდის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ მის შედგენაში WRB კლასიფიკაციის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა, გასაგები და აღქმადი ყოფილიყო მსოფლიოში, ყველა შესაბამისი დარგის სპეციალისტისათვის. 2019 წელს თ. ურუშაძის რედაქტორობით კვლავ გამოიცა საქართველოს ნიადაგების რუკა ახალი რედაქციით.

ბატონი თ. ურუშაძის რედაქტორობით და მეცნიერთა ჯგუფის (ასოც. პროფესორი თამარ ქვრივიშვილი, პროფესორი ვიფრიდ ბლუმი და სხვები) მონაწილეობით პრაქტიკულად პირველად მომზადდა და ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა „საქართველოს ნიადაგების წითელი წიგნი“. წიგნმა 2018 წლის მსოფლიო საერთაშორისო კონგრესზე (რიო-დე-ჟანეირო) ფორუმის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

საქართველოში მსოფლიოში პირველად იქნა შესწავლილი და გამოყოფილი ნიადაგის სამი ახალი ტიპი, რამაც მიიღო საერთაშორისო აღიარება და აისახა რიგი ქვეყნების სახელმძღვანელოებში (იაპონია, პოლონეთი, და სხვ.), ამათგან ერთ-ერთის (ყვითელყომრალი ნიადაგი) ავტორია აკადემიკოსი თენგიზ ურუშაძე.

თ. ურუშაძე საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერების ევროპულ სივრცეში ინტეგრირების ერთ-ერთი პიონერია. ის, სამეცნიერო იდეების გაცვლის მიზნით, უცხოელ კოლეგებთან ერთად მუდმივად აწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, ორგანიზებას უკეთებს საველე-პრაქტიკულ მეცადინეობებს და სემინარებს, ქართველი და უცხოელი სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევრების, ქართველი და უცხოელი მეცნიერების მონაწილეობით. მსოფლიოში ცნობილი ნიადაგმცოდნის, მსოფლიო ნიადაგცმოდნეთა საზოგადოების ექსპრეზიდენტის, პროფესორ ვიფრიდ ბლუმის (ავსტრია) შეფასებით, მუშაობის ეს პრაქტიკა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია და მეცნიერული იდეების სიმბიოზის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. თ. ურუშაძის გამოცდილება უცხო ქვეყნის შესაბამისი პროფილის არაერთ უნივერსიტეტში დაინერგა.

თ. ურუშაძე ხშირად მონაწილეობს და გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე უცხოეთში, კითხულობდა ლექციებს დრეზდენის (გერმანია), ვენის (ავსტრია) და ბრატისლავას (სლოვაკია) უნივერსიტეტებში. მისი ავტორობით ან თანაავტორობით საზღვარგარეთ გამოიცა 19 მონოგრაფია, მათ შორის 4-NOVA-სა (აშშ) და Lambert-ის (გერმანია) გამომცემლობებში.

აკადემიკოსი თ. ურუშაძე არის საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტი და ექსპერტი. ის მონაწილეობს საერთაშორისო შეთანხმებებში, კონგრესებში, კონფერენციებში, სემინარებში, სამეცნიერო შეხვედრებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ამ მიმართულებების განვითარებაში.

თ. ურუშაძის ასეთმა ავტორიტეტმა, მისმა დიდმა საერთაშორისო კავშირებმა არაერთ ქართველ სტუდენტს თუ მკვლევარს მისცა შესაძლებლობა, ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში და სამეცნიერო დაწესებულებებში მიეღო განათლება ან დაუფლებოდა მეცნიერების ამა თუ იმ დარგს. მან მოამზადა მრავალი სპეციალისტი: ბაკალავრი, მაგისტრი, 29 მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი. არის 70-მდე დისერტაციის რეცენზენტი, ექსპერტი და ოპონენტი. თ. ურუშაძე მუდმივად მონაწილეობს სხვადასხვა საგრანტო პროექტში (ადგილობრივი და საერთაშორისო), როგორც ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი.

თ. ურუშაძე არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ამავე აკადემიის ეკოლოგიური უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი; საქართველოს საინჟინრო და ეკოლოგიის საერთაშორისო აკადემიების აკადემიკოსი; ბარსელონის მეცნიერების და ხელოვნების სამეფო აკადემიის (ესპანეთი) და კატალონიის ვეტერინარული მეცნიერების აკადემიის (ესპანეთი) წევრ -კორესპონდენტი; საქართველოს ნიადაგმცოდნეთა საზოგადოების, იუნესკოს პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო“ (მაბ) საქართველო ეროვნული კომიტეტის და ასოციაცია „ძელქვა“- ს პრეზიდენტი; საერთაშორისო ჟურნალ „Annals of Agrarian Science“-ის მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები“-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე; „საქართველოს ეროვნული აკადემიის ბიულეტენის“, ჟურნალების: „საერთაშორისო წერილები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში“ (შვეიცარია); „ჩილეს ჟურნალი სოფლის მეურნეობაში“ (ჩილე), „ქიმიის და გარემოსდაცვითი კვლევები“(ინდოეთი), „არქივი აგრონომიასა და ნიადაგმცოდნეობაში“ (გერმანია) რედკოლოგიის წევრი; სომხეთისა და აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის საპატიო დოქტორი.

2018 წლის 16 აგვისტოს რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია), ნიადაგმცოდნეთა 21-ე მსოფლიო კონგრესზე თენგიზ ურუშაძე აირჩიეს მსოფლიო ნიადაგმცოდნეთა კავშირის საპატიო წევრად. ეს პატივი 1924 წლიდან დღემდე წილად ხვდა სულ 92 ცნობილ მეცნიერს, აღსანიშნავია, რომ თენგიზ ურუშაძე არის პირველი ცნობილი ქართველი მეცნიერი ამ დარგში, ვისაც ეს უდიდესი პატივი ერგო წილად. თ. ურუშაძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, არის საქართველოს დამსახურებული მეტყევე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ბატონი თენგიზ ურუშაძე დღესაც ჩვეული შემართებით აგრძელებს მუშაობას. 80 წლის ღვაწლმოსილი მეცნიერი, მიუხედავად დიდი ტრაგედიისა (რამდენიმე წლის წინ ერთადერთი ვაჟი ალექსანდრე დაეღუპა) თავისი მწუხარებით, რომ ვინმეს დისკომფორტი არ შეუქმნას, ინარჩუნებს გარეგნულ სიმშვიდეს, ყველას თბილად ხვდება: ვის რჩევას აძლევს, ვის კიდევ პრობლემას უგვარებს. ამიტომ ყველას უყვარს და ეიმედება იგი. თუმცა მისი სევდანარევი ღიმილი თავის სათქმელს მაინც ამბობს... ბატონი თენგიზის გარდაცვლილი შვილი, ალექსანდრე (სანდრო) საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი, ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო-მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის – „გლობალური სატყეო კოალიცია“ გამგეობის წევრი იყო, იგი სატყეო მეცნიერებაში აგრომეტყევეობის ახალი მიმართულების ფუძემდებელი და სახელმძღვანელოს ავტორია.

– თ. ურუშაძეს ჰყავს საუცხოო ოჯახი. მეუღლე, კეთილშობილებითა და ღირსებით გამორჩეული ქალბატონი მედეა ჩახვაძე ცნობილი მუსიკოსი – ვიოლონჩელისტია. „მიუხედავად წარმატებული კარიერისა“, როგორც თ. ურუშაძე გულწრფელად ამბობს, „როცა მედეამ შეამჩნია, რომ მხარდაჭერა მჭირდებოდა, საყვარელ საქმეს ჩემი თანადგომა არჩია, ასე გრძელდება დღემდე, მედეა ყველა ჩემი წარმატების ძირითადი შემოქმედია“.

ალექსანდრე ურუშაძის მეუღლე დარეჯან ჩხეტიანი, საქართველოს ბუნების დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობს, ამასთან, მეუღლის მშობლების მხარდაჭერით, ღირსეულ მემკვიდრეებს – გიზისა და დავითს უზრდის ურუშაძეების ოჯახს. ბატონი თენგიზის ქალიშვილი თეო, სახელოვანი მამის კვალს გაჰყვა. ის არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სკოლის დეკანი, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, ზრდის ქალ-ვაჟს, თეკლასა და გიორგი გურგენიძეებს.

ბატონო თენგიზ! გულითადად გილოცავთ თქვენი ცხოვრების ღირსეულ თარიღს, სასიამოვნოა, რომ ასეთი აღიარებით, ამაგსავსე, გარჯით დამშვენებული შეხვდით საიუბილეო წელს – 80 წლისთავს. გისურვებთ სულიერ მხნეობას, ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს თქვენი მოღვაწეობის ყველა სფეროში.

ანზორ თავართქილაძე,
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

2020-2021 სასწავლო წელი - ელექტრონული წიგნებით

განათლების სამინისტრო ელექტრონული რესურსების განვითარებას აქტიურად განიხილავს, რათა სასწავლო პროცესი მოსწავლეებისთვის საინტერესო და მრავალფეროვანი გახდეს, - ამის შესახებ Imedinews-ს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ეკატერინე დგებუაძემ განუცხადა.

მისი თქმით, განათლების სამინისტრომ გამომცემლობებს 2020-2021 სასწავლო წლისთვის ელექტრონული წიგნების მომზადება დაავალა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამინისტრო სექტემბრიდან სასწავლო პროცესის კვლავ ონლაინ რეჟიმში ჩატარებას გეგმავს.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, გამომცემლებთან შეხვედრა ელექტრონული რესურსების განვითარების მიზნით შედგა. საუბარი იყო იმაზე, რომ გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოცემასთან ერთად ასევე შექმნან ციფრული, PDF-ის ფაილები, რომელსაც სასწავლო პროცესში გამოიყენებენ და შეძლებენ მოსწავლეებს მასალები ელექტრონულად მიაწოდონ.

„აქ საუბარია PDF ფაილების ხელმისწვდომობაზე, რომელთა შექმნა, ნაბეჭდ სახელმძღვანელოებს არ ანაცვლებს. ელექტრონული წიგნების შექმნა სხვა თემაა და ეს ხანგრძლივი სამუშო პროცესია“, – განაცხადა დგებუაძემ. მისივე თქმით, გამომცემლებთან შეხვედრა არ ნიშნავს იმას, რომ სამინისტრო სექტემბრიდან სკოლებში სასწავლო პროცესის კვლავაც ონლაინ რეჟიმში ჩატარებისთვის ემზადება.

ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია!



ამდენი წერილი, რაც ელექტრონულ თუ ჩვეულებრივ პრესაში ქვეყნდება, ამდენი ვიდეოინტერვიუ, რაც ინტერნეტში იდება, ამდენი თოკ-შოუ და მოსახლეობის ასეთი დაშინება–აკრძალვები (ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა მშვიდობიან პერიოდში: კომენდანტის საათი, საგანგებო მდგომარეობა, თვითიზოლაცია, სავალდებულო ქცევის წესები, კარანტინი და სხვა), რაც ტელეარხებით გადაიცემა ყოველდღიურად და კორონავირუსით გამოწვეულ დაავადებას – კოვიდ-19-ს, წარმოქმნილ ეკონომიკურ კრიზისს და მომავალში შესაქმნელ ვაქცინას ეხება, არ მახსოვს და არც მსმენია, რომ რომელიმე პრობლემისადმი ყოფილიყო ოდესმე მიძღვნილი.

არც „ღორის გრიპის“ ეპიდემიის დროს 10 წლის წინათ, და არც „ქათმის გრიპის“ დროს 15 წლის წინათ, ანუ მაშინაც კი, როდესაც სააკაშვილის ჯანდაცვის მინისტრმა **ლადო ჭიპაშვილმა** ბედობის დღეს „საზეიმოდ“ გვამცნო: საქართველოში გრიპისგან მოსახლეობის 40% დაავადდება და მათგან 2/3, ანუ მილიონზე მეტი დაიღუპებაო! მან თუთიყუშივით, დაუფიქრებლად გაიმეორა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისგან (ჯანმო) მიღებული (ცხადია, „მეცნიერულ“ საფუძვლებზე დამყარებული, „მათემატიკური სიზუსტით“ გაანგარიშებული) ეს საგანგაშო პროგნოზი. ამგვარი პროგნოზებით სხვაც ბევრი (ამერიკის ჩათვლით) „გაახარა“ ჯანმომ. სამწუხაროდ, მსგავსი, მაგრამ ბევრად უარესი მდგომარეობაა ამჟამად – რაც არ უნდა დაუსაბუთებელი რეკომენდაცია მივიღოთ ამ სახელგატეხილი ორგანიზაციიდან, რომელსაც გლობალისტების რუპორსაც უწოდებენ (წამლობა-ვაქცინაცია იქნება ეს, თუ დაავადების საწინააღმდეგო სხვა ზომები), ყველაფერს ზედმიწევნით ზუსტად ვასრულებთ, ზოგჯერ – გადაჭარბებითაც. და განა მარტო ჩვენ, თითქმის ყველანი მსოფლიოში, თითქოს, ეს რეკომენდაციები კი არ ყოფილიყოს, არამედ, – დირექტივები. ყველა სახელმწიფო (რამდენიმეს გამოკლებით) ერთი, არც მთლად უხილავი დირიჟორის ხელის აქნევას ემორჩილება, ვინაიდან ყველგან მოეხსენებათ, რომ დაუმორჩილებლობას უსათუოდ მოყვება სანქციები და, – არა მხოლოდ ჯანმოსგან!

კაცმა რომ თქვას, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებში რა უნდა იყოს მიუღებელი, თითქოსდა, – არც არაფერი, მაგრამ, ოქროს წესს: „ენდე, მაგრამ გადაამოწმე“, თითქმის, არსად არ იყენებენ, არა უცოდინრობის ან კადრების უკმარისობის გამო, არამედ, – უსაზღვრო ნდობის და უსიტყვო მორჩილების გამო, ზუსტად ისევე, როგორც ეს ხდება პოლიტიკაში, რისი მოწმენიც ყველანი ვართ. ჰოდა, სამედიცინო პოლიტიკაც ხომ დიდი პოლიტიკის ნაწილია! ყველას კარგად მოეხსენება, რომ გლობალისტური ძალები, რომლებმაც უფრო ტევადი სახელი მოუძებნეს საკუთარ განუსაზღვრელ ძალებს და, ბოლო წლებია **ღრმა სახელმწიფოდ (Deep State),** ანუ ფარულ, კარგად გასაიდუმლოებულ სახელმწიფოდ იწოდებიან, აბსოლუტურად ყველა სფეროს პოლიტიკას განსაზღვრავენ და აკონტროლებენ, განსაკუთრებით კი, – სამედიცინო სფეროს. განსაკუთრებით იმიტომ, რომ თავიანთი მთავარი მიზნის – დეპოპულაციის განხორციელება მსოფლიოს მასშტაბით (ნახევარი საუკუნის წინათ ყოველგვარი შიშის გარეშე გაცხადებულის) სამედიცინო სფეროს გლობალური კონტროლის გარეშე, პრაქტიკულად, მიუღწეველია.

სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია ახალი კორონავირუსის შექმნა და ისიც, რომ თავად დაავადების – კოვიდ-19-ის ტესტირება-დიაგნოსტიკამ, მისმა გავრცელებამ და საყოველთაოდ მიღებულმა ეპიდემიოლოგიურმა თუ არაეპიდემიოლოგიურმა ზომებმა ბევრი ეჭვი და დღემდე პასუხგაუცემელი კითხვები გააჩინა.

დავიწყოთ ტესტირებიდან. იმდენი მსჯელობა იყო ამ ტესტების ირგვლივ ჩვენთან, რომ უკვე არაექიმებმაც იციან, რომ არსებობს: PCR (პი-სი-არ) და ანტისხეულების ტესტი. პირველი, ვირუსის მატარებლის გამოსავლენად გამოიყენება, მეორე კი – გადატანილი დაავადების დამადასტურებელია.

ტესტებზე არნახულად მზარდი მოთხოვნილების პირობებში ყველამ დრო იხელთა (კერძო კომპანიებმა, სახელმწიფო დაწესებულებებმაც) და, ვისაც კი ხელეწიფებოდა, ამ ტესტებისთვის საჭირო პროდუქციის გამოშვება დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი მათგანი უვარგისი აღმოჩნდა, ზოგიერთი კომპანიის (სახელმწიფოს) ნაწარმი ჩვენმა ჯანდაცვის სამინისტრომაც დაიწუნა და უარი თქვა მათ შესყიდვაზე. რაც დარჩა ბაზარზე, იმათაც დიდი ეჭვით უყურებენ ექსპერტები, რადგანაც **ძალიან ხშირია როგორც ცრუ-უარყოფითი, ისე ცრუ-დადებითი პასუხი.** ეს პრეტენზიები, ფაქტობრივად, მხოლოდ PCR-ტესტებს შეეხება. საქმე ის გახლავთ, რომ საანალიზო მასალაში, რომელსაც ცხვირ-ხახიდან იღებენ ნაცხის სახით (ანტისხეულებს სისხლში ნახულობენ), ნორმაში უამრავი მიკროორგანიზმი არსებობს, ძირითადად, ბაქტერიები (ათასობით სახეობა!) და, შედარებით მცირედი რაოდენობით, – ვირუსებიც. ვინაიდან პი-სი-არ-ტესტი (პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია) არასპეციფიკური(!) ტესტია, იგი დადებით პასუხს იძლევა არა მხოლოდ კორონავირუსზე, არამედ ბევრ სხვაზეც, მაგალითად, გრიპის ვირუსზეც! ამიტომ, არასწორი პასუხები, ძირითადად, ცრუ-დადებითია, თუმცა, ცრუ-უარყოფითიც საკმაოდ ხშირი ყოფილა – ამერიკის საავადმყოფოების კონსულტანტების და სპეციალისტების ასოციაციის დასკვნით 10-დან 3 შემთხვევაში პასუხი სწორედ ცრუ-უარყოფითია. გასაკვირი აღარ არის, ასეთი დიდი მცდარობის გამო ბევრი სპეციალისტი ამ ტესტების გამოყენებას მიზანშეუწონლად რომ მიიჩნევს.

ტესტების საკითხში სიცხადე ქიმიაში დოქტორის ხარისხის მქონე **ტანზანიის პრეზიდენტმა ჯონ მაგუფულიმ** შეიტანა ძველთაგან ცნობილი და დღესაც ფართოდ გამოყენებული, ძალიან მარტივი და უტყუარი მეთოდით. ჩვეულებრივ, ტესტების სიზუსტის, სანდოობის დასადგენად საანალიზოდ აგზავნიან სხვადასხვა ცხოველის, მცენარის ან ნივთიერების ნიმუშებს, როგორც, ვითომდაც ადამიანებიდან აღებულ სისხლს, შარდს ან ნაცხს (თავად ლაბორატორიების მუშაობის გადასამოწმებლად კი ერთიდაიმავე, კარგად გამოკვლეული მასალა რამდენიმე ლაბორატორიას ეგზავნება). სწორედ ასე მოიქცა აფრიკელი პრეზიდენტი და ნაციონალური ლაბორატორიიდან „ზუსტი“ პასუხებიც მიიღო: **თხას, კუარეს** (ადგილობრივი სახეობის ჩიტს) **და პაპაიას ნაყოფს კორონავირუსი (!) აღმოაჩნდათ, ბოცვერის და პურის ხის დაინფიცირებაზე კი ეჭვი იქნა მიტანილი!** ძალზე უცნაურია, რომ მსგავსი შემოწმება იმათგან, ვისაც ეს სამსახურებრივად ევალება, არავის არ მოსვლია თავში არც ერთ სახელმწიფოში, არც ჩვენთან და, არც – თავად ტანზანიაში. ამიტომაც ლაბორატორიის დირექტორთან ერთად გაათავისუფლა ხარისხის (!) განყოფილების ხელმძღვანელიც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც – ტანზანიას და აფრიკის ყველა სხვა სახელმწიფოს ამ ტესტებით (და კიდევ ბევრი სხვა რამითაც!) საერთაშორისო ორგანიზაცია – აფრიკის დაავადებათა კონტროლის და პროფილაქტიკის ცენტრი ამარაგებს დღესაც! ამიტომაც განაცხადა ტანზანიის პრეზიდენტმა 3 მარტს: **„ტესტები არ მუშაობს, ეს ტესტები რაღაც ბინძური თამაშია! ჩვენ იმპორტირებული გვაქვს რეაგენტები და ბამბის ტამპონებიც კი!** ასე რომ, აქ რაღაც ხდება. მე ადრეც ვამბობდი: **შეუძლებელია, რომ ნებისმიერი დახმარება, რომელსაც ვღებულობთ, აუცილებლად სასარგებლო იყოს ჩვენი ქვეყნისთვის“.** ტესტებთან და „უანგარო“ დახმარებებთან დაკავშირებითაც, ტანზანიის პრეზიდენტმა ყველაფერი გასაგებად თქვა, ამიტომ სხვა მაგალითები, ვფიქრობ, ზედმეტია, მაგრამ ერთ მსგავს ფაქტს კიდევ მოვიყვან: **ბელარუსმა რუსეთის კომპანია „ვექტორისგან“ შეიძინა ანალოგიური ტესტები. საზღვარზე შემოწმებისას ბელარუსის უშიშროების სამსახურმა აღმოაჩინა, რომ თითქმის ყველა ტესტი კორონავირუსით იყო დაინფიცირებული. (საგულისხმოა ერთი სტატისტიკური ცნობაც – 50-მილიონიან ტანზანიაში 29 აპრილისთვის კორონავირუსით დაინფიცირების მხოლოდ 480 შემთხვევა იყო დადასტურებული, გარდაცვლილი კი – 16! იმავე პერიოდისთვის ბელარუსში, სადაც არც ეპიდემია გამოუცხადებიათ და, არც – კარანტინი შემოუღიათ, გარდაცვლილი იყო 84 ადამიანი)!**

ყველას გვახსოვს ჩინელი დიპლომატის მიერ ამერიკის მხარისთვის დასმული შეკითხვები ტვიტერში, როდესაც ურთიერთ-ბრალდებები ისმოდა კორონავირუსის ხელოვნურად შექმნის და გავრცელების თაობაზე.

ამჯერად ისევ ტვიტერში ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველი სტრატეგიის საკითხებში **გრეკ რუბინი** ერთობ ყურადსაღებ და „ჩამჭრელ“ კითხვებს უსვამს აშშ-ის მთავარ ინფექციონისტს **ენტონი ფაუჩის** (იგივე **ფოჩი**), რომელმაც, ამ პოსტზე ყოფნის პერიოდში ხუთი პრეზიდენტი გამოიცვალა და, რომლის დროსაც ვაქცინაციის პროგრამა 7 აცრიდან 54-მდე გაიზარდა: **„დოქტორო ფაუჩი, რატომ უთხარით სენატორ რიჩარდ ბერის საიდუმლოდ, რომ კორონავირუსი დაანგრევს უოლ-სტრიტს და, სენატორმა ბერმაც მოასწრო 13 თებერვალს 41,5 მილიონი აქციების გაყიდვა? საიდან იცოდით თქვენ 13 თებერვლისთვის, რომ კორონავირუსი უოლ-სტრიტს დაანგრევდა? იმ დროს ხომ ვირუსი მხოლოდ ჩინეთში იყო, აქ კი – შეერთებულ შტატებში არაფერი არ იყო, არც ევროპაში. დოქტორო ფაუჩი, ეს „ვირუსული ოპერაცია“ ღრმა სახელმწიფოს (Deep State) დაზღვევა ხომ არ იყო იმ შემთხვევისთვის, თუკი ტრამპის იმპიჩმენტი ჩავარდებოდა? ან იმისთვის, რომ ჩამოშლილიყო უოლ-სტრიტი და ეკონომიკა, და მერე, ყველაფერი ტრამპისთვის დაგებრალებინათ, რათა იგი ხელმეორედ აღარ აერჩიათ“?**

ამ კითხვებით, თითქმის, ყველა სხვა კითხვასაც ეფინება ნათელი! უნდა დავამატოთ ისიც, რომ პანდემიის დაწყებამდე, **ჯერ კიდევ 2019 წლის ბოლოს, ფაუჩის გაცხადებული ჰქონდა** (ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში), რომ **ტრამპის ადმინისტრაცია შეეჯახება** არა მხოლოდ მუდმივ გლობალურ საფრთხეებს, ისეთებს, როგორიცაა გრიპი და შიდსი, არამედ, – **მოულოდნელი დაავადების აფეთქებასაცო!**

სპეციალისტების აბსოლუტური უმრავლესობა (ექიმები, ეპიდემიოლოგები, ფსიქოლოგები) ერთი აზრისანი არიან – **დაავადებაზე მეტად პანიკაა საშიში და ადამიანების ხანგრძლივი დროით სახლებში გამოკეტვა.** აი, რას ამბობს ცნობილი ამერიკელი ექიმი, 19 წიგნის ავტორი **ლეონარდ კოლდუელი:** „თუკი თქვენ დიდხანს არ ურთიერთობთ ადამიანებთან, თქვენ არ ავარჯიშებთ იმუნურ სისტემას, ამიტომ **რვა კვირის იზოლაციის შემთხვევაში იმდენად ქვეითდება თქვენი იმუნური სისტემა, რომ უკვე ნებისმიერი გაციებაც კი შეიძლება საშიში გახდეს.** ჩვენ სოციალური არსებები ვართ, **ჩვენ კოცნა, ხვევნა, ფიზიკური კონტაქტი გვჭირდება** და, ყველაფერი ამის წართმევა სურთ, რათა დავჭკნეთ, როგორც სინათლეს მოკლებული ყვავილი! **დაფიქრდით, თუ რატომ ითვლება ექვს დღეზე მეტი იზოლაცია წამებად ყველა ციხეში.** იმიტომ, რომ ეს მართლაც წამებაა, იგი კლავს ადამიანს, როგორც პიროვნებას“!

პანიკა რომ ითესება მთელ მსოფლიოში სახელმწიფო მოხელეების და, სამწუხაროდ, ექიმების მიერაც აგერ უკვე ხუთი თვეა და ჯერაც გრძელდება, ამას ყველანი ვხედავთ. ხალხს იმას კი არ ეუბნებიან და იმით კი არ აწყნარებენ, რომ უმეტეს სახელმწიფოებში წინა წლებთან შედარებით საერთო სიკვდილიანობა არ შეცვლილა, რომ განვითარებულ ევროპა-ამერიკაში ჰიპერდიაგნოსტიკაა, რომ საბოლოო დიაგნოზის დაზუსტება გარდაცვლილებშიც კი არ ხდება და ყველაფერს კორონავირუსს მიაწერენ (არ ტარდება არც პათანატომიური და არც ელექტრონული მიკროსკოპით კვლევა), არა, სულ პირიქით, სტრესული ატმოსფეროს შენარჩუნებას ცდილობენ – ამჟამად კი გადავიტანეთ ასე თუ ისე ეს კოვიდი, მაგრამ, ნიღაბი არ მოიშოროთ, ხელი არავის ჩამოართვათ, ახლოს არ გაეკაროთ, სულ გახსოვდეთ, შემოდგომაზე, ნოემბერში (თვეც ზუსტად იციან!) უარესი გელოდებათ და, აბა თქვენ იცით... ყოჩაღად შეხვდით თქვენ საკუთარ ან თქვენიანის სიკვდილსო!

ცხადია, რომ **პანიკის ხანგრძლივი დროით შესანარჩუნებლად მხოლოდ პროპაგანდა არ კმარა, საჭიროა დაავადებულების და გარდაცვლილების პროგრესული ზრდა.** ჰოდა, დაავადებულთა რაოდენობის ზრდას სულ ადვილად ახერხებენ მასობრივი ტესტირების დანერგვით – აბსოლუტურად ყველა, **სრულიად უსიმპტომო(!) ადამიანიც კი, ვისაც კორონავირუსზე ტესტის პასუხი დადებითი ექნება, დაავადებულად და სხვებისთვის საშიშად, გადამდებად ცხადდება(!),** აქედან გამომდინარე ამ პირის საავალდებულო ორკვირიანი იზოლაციით! აბსოლუტურად ზუსტიც რომ იყოს ეს ტესტი, რას იძლევა იგი? ბევრს არაფერს, რადგანაც ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც არ აღმოაჩნდა კორონავირუსი, იმავე დღეს შეიძლება გახდეს ვირუსმატარებელი. ტესტირებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, თუკი სახელმწიფოს მთელ მოსახლეობას ერთდროულად ჩაუტარდებოდა ანალიზი, რაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ჯანმოს მიერ რეკომენდებული ტესტირების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ამ გზით უამრავი უსიმპტომო დაინფიცირებულის გამოვლენა და იზოლაცია ხერხდება და, ამ მხრივ, მას ალტერნატივა არა აქვს. ამიტომ, მათი რაოდენობა კიდევ უფრო უნდა გაიზარდოსო (მარტო რუსეთში 300 000 ანალიზს აკეთებენ დღეში, ამერიკაში – კიდევ უფრო მეტს). მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში, აშშ-ში და რუსეთშიც პროფესორების მთელი არმია უაზრობად მიიჩნევს ამ მასობრივ ტესტირებას, იგი მაინც გრძელდება – **მთავრობები შინაურ სპეციალისტებს არ უსმენენ, მხოლოდ ჯანმოდან მიღებული ინსტრუქციებით ხელმძღვანელობენ. და აი, სულ ახლახან, ერთი კვირის წინათ გაირკვა, რომ უსიმპტომო ვირუსმატარებლების გამოვლენას, შეიძლება ითქვას, საერთოდ, არ ჰქონია არავითარი მნიშვნელობა!**

იაკობ ლეჟავა,
15 ივნისი, 2020

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მთავრობა რთველის სუბსიდირებას უბრუნდება

წელს საქართველოში ყურძნის დიდ მოსავალს ელიან. პანდემიის გამო შემცირებული მოთხოვნის პირობებში არსებობს საფრთხე, რომ მისი რეალიზაცია ვერ მოხერხდეს და ქარხნებმა არ ჩაიბარონ. ამიტომ მთავრობა წელს რთვლის სუბსიდირების თემას უბრუნდება.

სოფლის მეურნეობის მინისტრის **ლევან დავითაშვილის** ინფორმაციით, ზოგიერთ სექტორს პანდემია მნიშვნელოვნად შეეხო. მაგალითად, ტურიზმი არის საოცრად დაზარალებული და ამის შემდეგ კი, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი დარტყმა ღვინის სექტორმა განიცადა.

„ღვინის გაყიდვა მჭიდროდ არის დაკავშირებული სასტუმრო ბიზნესთან. სასტუმრო, რესტორანი, კაფე, ჰორეკა სეგმენტი არის გაყიდვების ძალიან მნიშვნელოვანი და გაყიდვების დაახლოებით 30 პროცენტი მოდის ჰორეკა სექტორზე, რომელიც რამდენიმე თვე მთელ მსოფლიოში დაკეტილი იყო. საქართველოშიც ახლახან გაიხსნა რესტორნები და მათი სრული დატვირთვა ჯერ შორსაა.

ყველა ახალ ბაზარზე ქართული ღვინის დიდი წილი შედიოდა სწორედ ჰორეკა სექტორში, ამიტომ დღეისთვის დაახლოებით, 10-15%-ით შემცირებულია ღვინის რეალიზაცია, მაშინ, როდესაც წელს უნდა გაზრდილიყო. ჩვენ ყოველ წელს გვაქვს 5-დან 10%-მდე ზრდა და ამიტომ ნედლეულის ბაზაც საქართველოში ყოველ წელს იზრდება და სწორედ ამ ზრდაზეა ინდუსტრია ორიენტირებული. წელს კი ზრდის ნაცვლად კლება გვაქვს, ისევე, როგორც ეკონომიკაში. ეს ძალიან მძიმეა სექტორისთვის და ამიტომ ჩვენ კრიზისული ბიუჯეტის ნაწილში სუბსიდირების თანხა გვაქვს გათვალისწინებული“, – განაცხადა დავითაშვილმა.

ბოლო წლების განმავლობაში მთავრობა სუბსიდიის რეჟიმიდან, ფაქტობრივად, გამოსული იყო. ბოლო დრომდე რეალიზაციის პრობლემა არ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით შარშანდელ შედარებით დაბალ ფასს. წელს კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა. არის საფრთხე, რომ ყურძენი ღვინის ქარხნებმა არ შეისყიდონ. ამიტომ მთავრობა პროცესებში ჩარევას ისევ გეგმავს.

„იმ მიზნით, რომ ჩვენს ფერმერებს ყურძნის ჩაბარების პრობლემა არ შეექმნათ, რადგან ეს არის მალფუჭებადი პროდუქტი და მყისიერად უნდა დაბინავდეს, მინიმალური გარანტირებული პირობები გვექნება, რომ გლეხებმა თავის დანახარჯის ამოღება შეძლონ და გარკვეული მოგებაც მიიღონ. სახელმწიფო გასწევს სუბსიდირებას, თუმცა სუპერ ფასების მოლოდინი ყურძენზე წარმოუდგენელია. გულწრფელები ვიყოთ და პირდაპირ ვთქვათ და არ შევქმნათ ცრუ მოლოდინი, რადგან ეს არის ის შესაძლებლობა, რაც ქვეყანას აქვს ამ რთულ პირობებში. რესურსები შეზღუდულია და ყველაფერს ყურძნის შესაძენად ვერ დავხარჯავთ. თან სახელმწიფომ უნდა გაიღოს თანხა, რადგან კერძო სექტორიდან შემცირებულია მოთხოვნა.

წელს დაახლოებით 60 მილიონი დაიხარჯება სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით, რაც ვითარების დაბალანსების შესაძლებლობას მოგვცემს, რათა ნაკლებად მტკივნეულად გადაიაროს სექტორმა პრობლემები, როგორც მევენახეებმა, ასევე მეღვინეებმა“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

წელს დიდი რაოდენობით, დაახლოებით 300 ათასი ტონა ყურძნის მოსავალს ელიან. მთავრობის მხრიდან რთვლის სუბსიდიის გადაწყვეტილებამ გლეხები იმედიანად განაწყო. მათი უმრავლესობა კმაყოფილია და ამბობს, რომ ამ დახმარებით პრობლემის მოგვარება და მოსავლის რეალიზაცია არ გაუჭირდებათ.

„დახმარებას ველოდი, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, რომ მთავრობა სუბსიდიის მექანიზმს დაუბრუნდებოდა. ცხადია, კმაყოფილი ვარ, მთავრობის მხრიდან ეს დიდი სტიმულია და ვერ დავუკარგავთ. როგორც არ უნდა იყოს, სუბსიდიის შემთხვევაში, დანაკარგის დიდი ნაწილი ამინაზღაურდება, რაც კარგი შეღავათია“, – განაცხადა კახელმა მევენახემ გია ქადაგიშვილმა.

სუბსიდიის მიუხედავად, წელს ყურძენზე მაღალი ფასი არ იქნება, თუმცა რა ფასად ჩაიბარებენ 1 კგ ყურძენს ქარხნები, მიახლოებითაც არ სახელდება.

ბექა დანელია

„სახლში დარჩენილმა“ ჟურნალისტმა ფერმა შექმნა

პროფესიით ჟურნალისტმა მარინე ზარდიაშვილმა, რომელიც 45 წელი აქტიურ ჟურნალისტიკაში იყო, პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები ახალი საქმის დასაწყებად გამოიყენა.

მარინემ სოფელ გურჯაანში შექმნა მეფრინველეობის მცირე ფერმა, ბიზნესი მომგებიანი აღმოჩნდა. კორონავირუსის პანდემიის გამო „სახლში დარჩენილ“ 61 წლის ჟურნალისტს სხვა იდეებიც გაუჩნდა.

კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში, ორ თვის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდნენ, რომ შინ დარჩენილიყვნენ. მარინე ზარდიაშვილი ამ მოწოდებას დაემორჩილა და „დარჩა სახლში“, თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, მან ეს პერიოდი „სასიკეთოდ გამოიყენა“.

მარინე შინ დარჩენამდე ბოლო დროს ერთ-ერთი ანსამბლის პიარსამ-

სახურში მუშაობდა. უფრო ადრე 45 წელი გაზეთ „გურჯაანის“ ჟურნალისტი იყო. ამიტომ ამბობს, რომ პანდემიის გამო სახლში უსაქმოდ ვერ დარჩებოდა, რადგან ელემენტარული ყოველთვიური შემოსავალი სჭირდებოდა. ამ მიზნით ფრინველების მომრავლება დაიწყო. ფერმა ახლა 100-მდე ფრინველს ითვლის. ჰყავს ქათმები, ინდაურები და პეკინური იხვები.

„ბოლო 4 წელია, ფოლკლორულ ანსამბლ „გურჯაანის“ პიარში ვმუშაობ. ვირუსის გამო მუშაობა შევაჩერეთ და თითქმის 5 თვე დავრჩი სახლში და უქმად ვერ გავჩერდებოდი. რამდენიმე ქათამი და ინდაური მყავდა, ისე როგორც ყველას ჰყავს სოფელში. გადავწყვიტე, ფერმა გამეკეთებინა. თან გაზაფხული დაემთხვა, რაც ფრინველის გამრავლების პერიოდია. ახლა მყავს ქათმების რამდენიმე თაობა, ინდაურები და ჭუკები, ასევე მყავს პეკინური იხვები, რომლებიც ძალიან ადვილი შესანახია. მცირე საკვებიც კი ჰყოფნით და დიდები იზრდებიან“, – ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ ფერმერი მარინე ზარდიაშვილი და დასძენს: **„მომრავლების დროს მე ფრინველი არ მიკვდება, ალბათ, იმიტომ, რომ მე ისინი ძალიან მიყვარს!“**

კორონავირუსის პანდემიის გამო სახლში დარჩენილ ჟურნალისტს სხვა იდეებიც აქვს. სახლს, სადაც ის ცხოვრობს, საუკუნოვანი ისტორია აქვს, ამიტომ შესაძლოა საოჯახო სასტუმრო და მარანი მოაწყოს, თუმცა ჯერ ფინანსები უნდა მოიძიოს. თუ ეს საქმეც გამოუვიდა, ფიქრობს, რომ მინიმუმ 4 მეზობელ ქალს დაასაქმებს, რომლებიც პანდემიამდეც უმუშევრები იყვნენ.

გიორგი ალადაშვილი

უცხოელი ტურისტების მოლოდინში - პესიმიზმიდან ფრთხილ ოპტიმიზმამდე

მას შემდეგ, რაც მაისში საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ რამდენიმე ქვეყანასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება უსაფრთხო „მწვანე დერეფნების“ შესაქმნელად და პირველი სახელმწიფო, საიდანაც კორონავირუსის პანდემიისას საქართველო ტურისტებს მიიღებს, ისრაელი იქნება, ტურისტულმა სააგენტოებმა ისრაელთან მუშაობა დაიწყეს. მათ შორის კომპანია „აჭარა ტურმა“. თუმცა, ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ ისრაელი პირველი აღარ იქნება ამ ქვეყანაში ეპიდსიტუაციის გაუარესების გამო.

„უკვე დანიშნული იყო ისრაელიდან პირდაპირი ფრენები როგორც თბილისში, ასევე ბათუმში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვხედავთ, რომ ისრაელში გარკვეული შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, ეპიდსიტუაცია დაიძაბა. ბოლო ხანს არც საქართველოშია სახარბიელო მდგომარეობა. ამიტომ, როგორც საქართველო, ისე ისრაელი თავს იკავებენ პირდაპირი ფრენების აღდგენისგან. ეპიდემიოლოგები დააკვირდებიან ვითარებას და 15 ივლისისთვის რეალური სურათი გვექნება“, – გვითხრა „აჭარა ტურის“ ხელმძღვანელმა ირაკლი თავართქილაძემ.

ეს კომპანია 1 აგვისტოდან აპირებდა ევროპიდან ტურისტების მოზიდვასაც. ირაკლი თავართქილაძის ინფორმაციით, მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნებთან. ლიეტუვის და ესტონეთის კომპანიებთან მიღწეულიც იყო შეთანხმება პირდაპირ ავიარეისებზე, თუმცა აქაც კითხვის ნიშნები გაჩნდა:

„რამდენად იქნება ეპიდვითარება კონტროლირებადი როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ასევე საქართველოში? ამ ვირუსმა გვაჩვენა, რომ წინასწარ, გრძელვადიან პერსპექტივაში რაღაცის დაგეგმვა არაეფექტურია. მოკლევადიან პერსპექტივაში შეგვიძლია დავინახოთ, რა შეიძლება მოხდეს ერთი კვირის შემდეგ. დღევანდელი სიტუაცია არ გვაძლევს იმის მოლოდინს, რომ ყველაფერი ისე მოწესრიგდება, რომ რეალურად გვექნება უცხოეთიდან ფრენები, განსაკუთრებით ტურისტული ჩარტერები. სამწუხაროდ, მოსალოდნელია, რომ წელს საქართველოში უცხოელი ტურისტი არ იქნება“.

ახლა გვიკავშირდებიან ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, იტალიიდან, ბრიტანეთიდან, პორტუგალიიდან. ძალიან ბევრი გვირეკავს უკრაინიდან, ბელარუსიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან და აზერბაიჯანიდან. ყველა ელოდება გზების გახსნას.

COVID-19-ის პანდემიის პირობებში აჭარაში ძირითად მიმართულებად შიდა ტურიზმი გამოცხადდა. კერძო სექტორის ნაწილმა საქართველოს მოქალაქეების გადახდისუნარიანობა გაითვალისწინა. მათ შორის 4 და 5-ვარსკვლავიანმა სასტუმროებმა, სადაც წინა წლებში უცხოელები სჭარბობდნენ. ბათუმში ერთ-ერთი პოპულარული, ბუტიკის ტიპის სასტუმროს მენეჯერი ნათია დოლიძე გვეუბნება, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის 15%-იანი ფასდაკლება აქვთ და მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ახალი ნორმების დაცვამ დამატებითი ხარჯი მოითხოვა, ნომრების ფასი არ გაუზრდიათ: „ხშირად გვირეკავენ და ჯავშნიან კიდეც“.

ისრაელიდან ჯავშნები გააუქმეს კომპანია „მეტრო სიტის“ სასტუმროებშიც. ეს კომპანია ბათუმში რამდენიმე 5 და 4-ვარსკვლავიან სასტუმროს ფლობს. ზოგიერთ მათგანში ახლა საკარანტინო ზონაა. დანარჩენს კი უცხოელი ტურისტებისთვის ამზადებდნენ. „მეტრო სიტიში“ გვითხრეს, რომ მათთან ჩამოსვლის სურვილს ახლაც გამოთქვამენ თურქეთის მოქალაქეები. კომპანიის წარმომადგენელი დიანა ბერიძე ამბობს, რომ უცხოელი ვიზიტორებისგან სასტუმროს დაჯავშნაზე დიდი მოთხოვნაა მკაცრი წესების მიუხედავად:

ქვეყნებთან საზღვრების გახსნა საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკების საგანია. მთლიანადაა დამოკიდებული ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე იმ ქვეყნებში, საიდანაც ვიზიტორები უნდა მივიღოთ.

„ბოლო 72 საათის განმავლობაში უნდა ჰქონდეს ტესტი ჩატარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქეს საკარანტინე სივრცეში გადაიყვანენ. რა თქმა უნდა, ეს დიდი დაბრკოლებაა დამსვენებლისთვის. ისრაელიდან მაქსიმალური მოთხოვნა იყო ჩვენს სასტუმროებზე. ყველა თვის ჯავშანი გვქონდა, რაც გაუქმდა. ასეთივე მოთხოვნაა თურქეთიდან“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ქვეყანა უცხოელი ტურისტების მიღებას 1 ივლისიდან დაიწყებს, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსი თინათინ ზოიძე გვეუბნება, რომ საზღვრების გახსნა ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას:

„ქვეყნებთან საზღვრების გახსნა საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკების საგანია. მთლიანადაა დამოკიდებული ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე იმ ქვეყნებში, საიდანაც ვიზიტორები უნდა მივიღოთ. ვირუსის ბუნებიდან გამომდინარე სიტუაცია ყოველდღიურად იცვლება. რთული წელი გვექნება და ამაზე ყველა ვთანხმდებით. პირველ რიგში, ჩვენი თანამოქალაქეების ქვეყნის შიგნით უსაფრთხო მოგზაურობა უნდა მოვაწესრიგოთ. ხოლო თუ მეზობელ ქვეყნებში ეპიდვითარების მართვის კარგ მაჩვენებელს დავინახავთ, საქართველო იქნება პირველი, რომელიც ასეთი ქვეყნებისთვის საზღვარს გახსნის“.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემებით, შარშან რეგიონში 2 200 000 უცხოელი ტურისტი იმყოფებოდა.

ეკა ლორთქიფანიძე

ტრაგედია

სამწუხარო ფაქტი

თბილისის „საბურთალოს“ აკადემიის ფეხბურთელის **გიორგი შაქარაშვილის** ცხედარი ოთხდღიანი უწყვეტი საძიებო სამუშაოების შედეგად მყვინთავებმა არაგვში იპოვეს. აღნიშნული ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა გაავრცელა.

„ამ ხნის განმავლობაში საძიებო სამუშაოებში ჩართული იყო 70 მეხანძრე-მაშველი, შვიდი გასაბერი ნავი და ორი სპეციალური კატერი, რომელიც ახორციელებდა ფსკერის სკანირებას. შეუჩერებლად ფუნქციონირებდა საველე შტაბი, საიდანაც ხდებოდა საძიებო ოპერაციის მართვა. ადგილზე მობილიზებული იყო ყველა საჭირო სპეცტექნიკა, მათ შორის — თერმული დრონები, რომლებიც აწარმოებდნენ ტერიტორიის მონიტორინგს“.

19 ივნისს, დაახლოებით 11 საათზე გიორგი შაქარაშვილის დაკარგვის შესახებ ოჯახმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. პოლიციამ, სამაშველო სამსახურთან ერთად, შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყო სამძებრო სამუშაოები“, — ნათქვამია შს სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განცხადებაში.

საფეხბურთო მოზაიკა

* * *

საქართველოს ნაკრებისა და ვარშავის „ლეგიას“ ნახევარმცველი ვაკო გვილია სეზონის რესტარტს დიდებულ კონდიციებში რომ შეხვდა, აქამდეც დაამტკიცა. საერთოდ, 2019-2020 წლების სეზონი მის კარიერაში გამორჩეულია.

„ლეგიამ“ საჩემპიონო ზონის პირველ შეხვედრაში ვროცლავის „სლასკი“ 2:0 დაამარცხა და ორივე გოლი ქართველმა ლეგიონერმა გაიტანა. ვაკომ ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა, ხოლო 54-ე წუთზე მეტოქის კარი მეორედ აიღო და შეუცვლელად ითამაშა.

გვილიამ „ლეგიაში“ დუბლი პირველად შეასრულა, ექსტრაკლასას 31 მატჩში კი უკვე 7 ბურთი დაუგროვდა (ამასთან, ხუთჯერ შედეგიანი პასი შეასრულა). ამას თუ დავუმატებთ პოლონეთის თასზე ორ და ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთ გოლს, გამოვა, რომ სეზონში უკვე 10 ბურთი აქვს გატანილი.

ვარშავის „ლეგია“ ამასობაში პოლონეთის ჩემპიონობასთან ძალიან ახლოსაა, რადგან 31 ტურის თავზე 63 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევარს „პიასტს“ 10 ქულით უსწრებს.

* * *

ყაზანის „რუბინის“ შემტევი ნახევარმცველი ხვიჩა კვარაცხელია რუსეთის პრემიერლიგის XXIII ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

„ურალთან“ შთამბეჭდავი მატჩის შემდეგ ხვიჩა გამოცემა Soccer8ru-მ გამოარჩია და მისი თამაში შემდეგნაირად დაახასიათა:

„ახლა გასაგებია, თუ რატომ იყო სიომინი ასე გაბრაზებული, როდესაც ქართველი „რუბინში“ გადავიდა. „ლოკომოტივმა“ ხელიდან გაუშვა ძალიან ნიჭიერი 19 წლის მეომარი, რომელსაც აქვს ლიდერის თვისებები და არამხოლოდ ტექნიკა. ეკატერინბურგში „რუბინისთვის“ მატჩი კარგად არ დაწყებულა, რადგან „ურალმა“ სწრაფად გაიტანა, მაგრამ ჯერ კუთხურის შემდეგ კვარაცხელიამ ძალიან ლამაზი „მაკ-

რატელათი“ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო შემდეგ სოლტმურად ბაკაევს საგოლე პასიც გაუკეთა“, — წერს გამოცემა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში ჩვენებურის აქტივში უკვე 3 გატანილი ბურთი და 2 საგოლე გადაცემაა (20 მატჩში).

* * *

მადრიდის „რეალის“ კაპიტანმა სერხიო რამოსმა ლა ლიგაში მორიგი რეკორდი დაამყარა. ესპანელმა ფეხბურთელმა „სოსიედადთან“ მატჩში თერთმეტმეტრიანი გაიტანა და ეს მისთვის 69-ე გოლი აღმოჩნდა,. ამ შედეგით კი კატალონიის „ბარსელონას“ ლეგენდარულ მცველ რონალდ კუმანს გადაასწრო.

შეგახსენებთ, რომ რამოსმა მიმდინარე სეზონში „სამეფო კლუბის“ შემადგენლობაში 28 მატჩი ჩაატარა და 7 ბურთი მიითვალა, უშუალოდ შეხვედრა კი ზინედინ ზიდანის გაწვრთნილმა გუნდმა 2:1 მოიგო და სატურნირო ცხრილში პირველ პოზიციაზე განთავსდა. აღსანიშნავია ისიც, რომ „რეალის“ მსგავსად „ბარსელონასაც“ 65 ქულა აქვს, თუმცა, ურთიერთშეხვედრებში უპირატესობის გამო პირველ საფეხურზე მადრიდელები იმყოფებიან (0:0 და 2:0).

გიორგი ზოთაძე

◎ ხუთი რგოლი

პანდემიის მიუხედავად...

საქართველო

GEORGIA

გაიმართა სემინარი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და ტოკიო 2020-ის საორგანიზაციო კომიტეტს შორის. სეოკ-ის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ სეოკ-ის სპორტული დირექტორი გიორგი ესაკია და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი რუსუდან აფციაური, ხოლო ტოკიო-2020-ის მხრიდან — რეგიონული კოორდინატორი აკიჩიკა ტანიგუში. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია ქართველ ოლიმპიელთა მზადებისა და ტოკიოს თამაშების ორგანიზატორთა უახლოესი გეგმების შესახებ. ითქვა, რომ საქართველოს ოლიმპიური გუნდი აქამდე სახლის პირობებში ვარჯიშობდა, მალე კი სრულფასოვან საწვრთნელ პროცესში ჩაერთვება.

საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ პანდემიით გამოწვეული პრობლემების მიუხედავად, ტოკიო ინტენსიურად ემზადება 2021 წლისთვის გადავადებული ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ. ამჟამად 300-მდე სხვადასხვა კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები კონტრაქტების გასაფორმებლად, ასევე ადრინდელი კონტრაქტების განსაახლებლად. უკვე გარკვეულია, რომ საშეჯიბრო არენების 80 პროცენტი კვლავ ტოკიო-2020-ის განკარგულებაში რჩება, დანარჩენი ოლიმპიური ობიექტების საკითხი კი ამჟამად განხილვის ფაზაშია.

რეგიონული კოორდინატორის თქმით, ერთ თვეში გამოქვეყნდება ოლიმპიადის ახალი საშეჯიბრო განრიგი, ხოლო ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩატარდება ოლიმპიური მისიების ხელმძღვანელთა ელექტრონული სემინარი, სადაც დეტალურად განიხილება მნიშვნელოვანი საორგანიზაციო საკითხები.

ბეჟან დოლიძე

◎ კალათბურთი

თარიღი ცნობილია

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის დრაფტის თარიღი ცნობილია და ის 16 ოქტომბერს ჩაინიშნა. აღნიშნულ ინფორმაციას ESPN-ის ჟურნალისტი ადრიან ვოინაროვსკი ავრცელებს.

სპორტსმენთა თავისუფალი აგენტების სახით დამატება 18 ოქტომბრიდან განისაზღვრა. სწორედ ამ დღიდან შეეძლებათ გუნდებს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა და ახალ მოთამაშეთა დამატება.

შეგახსენებთ, რომ NBA კორონავირუსის პანდემიის გამო შეწყდა და მისი განახლება 31 ივლისს იგეგმება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

სპორტს ემდურის

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც უცნობილესი მოდელებიც კი თავდაუზოგავად ცდილობენ მათი ბედი სპორტთან დააკავშირონ და ამ გზით კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოიხვეჭონ, ერთობ უცნაურია ასულთა ხილვა, რომლებიც ხმამაღლა აცხადებენ, რომ სპორტსა და სპორტსმენებს სათოფეზეც კი არ გაეკარებიან.

ამის მაგალითია რუსი ფეშენ-მოდელი კატია შჩეკინა, რომელიც ამბობს, რომ მოდელთა მხრიდან სპორტთან მიტმასვნა მისთვის მიუღებელია და ბევრისგან განსხვავებით არც იმას იკადრებს, რომ ცნობადობის გაზრდის მიზნით პოპულარულ სპორტსმენს საწოლში მერკანტილური მიზნებით ჩაუკოტრიალდეს.

უნდა ითქვას, რომ კატია შჩეკინა თავის საქმეში მართლაც რომ ძალიან წარმატებულია. ეს ხელიხელსაგოგმანები გოგონა 1986 წლის 18 მაისს ქალაქ პერმშია დაბადებული. ამჟამად იგი სამოდელო საგენტო LIKSTAR-ის მოდელი გახლავთ და 2005 წელს „დოლჩე და გაბანას“ სახე გახდა, თანაც დღეს მრავალ ცნობილ ბრენდს წარმოადგენს და პოპულარობის პიკზეა.

მანუჩარ გიორგაძე

სულთათანა

თეიმურაზ კვესიტაძის არდავიწყება



ორმოცი დღე გავიდა თეიმურაზ კვესიტაძის გარდაცვალებიდან, ორმოცი ტკივილიანი და სევდიანი დღე. გვიჭირს ამ ქვეყნიდან მის წასვლასთან შეგუება, მისი მონატრების ტკივილს მხოლოდ მოგონებებილა გვიქარვებს.

თ. კვესიტაძე დაიბადა 1943 წლის 7 დეკემბერს, პროფ. ივანე კვესიტაძისა და მარიამ გამილაღდიშვილის ოჯახში.

1967 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1969 წელს ჩაბარა ასპირანტურაში, დაიცვა დისერტაცია ონკო-გინეკოლოგიაში და მუშაობა დაიწყო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში.

1971-1981 წლებში თეიმურაზ კვესიტაძე სამედიცინო საქმიანობას ეწეოდა ალჟირში. შემდეგ მუშაობდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში და ხანგრძლივი სამუშაო მივლინებებით იმყოფებოდა შვეიცარიაში, სამხრეთ კორეასა და ინდოეთში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოღვაწეობა განაგრძო თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტში. იყო მრავალი, მეტად აქტუალური ნაშრომის ავტორი;

გულისხმიერება და მოყვასის სიყვარული ყოველთვის თან გასდევდა მისი, როგორც ექიმის, მოღვაწეობასა და საქმიანობას. პაციენტები მუდამ გრძნობდნენ მკურნალი ექიმის თანადგომასა და სიყვარულს და თვითონაც დიდი პატივისცემით და ნდობით იმსჭვალებოდნენ მის მიმართ .

ახალგაზრდობაში თ. კვესიტაძე იყო სპორტსმენი, კარგი ხელბურთელი და თავის დროზე საქართველოს ლეგენდარულ ნაკრებშიც თამაშობდა.

მისი ამ ქვეყნიდან წასვლა დიდი დანაკლისია ახლობლებისა და ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისა და კოლეგებისთვის, უამრავი ნაცნობისთვის, რომლებსაც გულწრფელად უყვარდათ და აფასებდნენ მას.

უკეთილშობილეს ადამიანსა და მაღალპროფესიონალ ექიმს თეიმურაზ კვესიტაძეს მუდამ პატივისცემითა და სიყვარულით მოიგონებენ მისი ოჯახის წევრები, ახლობლები, კოლეგები და მადლიერი პაციენტები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება;
საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი.

სანთელი

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი დამფუძნებლის, დედაქალაქის უსაყვარლესი კოლორიტული პიროვნების ბატონ ივიკო საყვარელიძის მეუღლე, უსათნოესი ქალბატონი

ვერიკო

და თანაგრძნობას უცხადებენ მის შვილებს ბატონ დავითს, ქალბატონებს თამუნასა და სოფიკოს, ოჯახის ყველა ახლობლებთან ერთად.

9 მილიონი ინფიცირებული



მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობამ 9 მილიონს გადააჭარბა.

როგორც „worldometers"-ის სტატისტიკიდან ირკვევა, გასულ 24 საათში მსოფლიოს მასშტაბით, 140 ათასამდე ინფიცირების შემთხვევა გამოვლინდა.

მონაცემების მიხედვით, სულ გარდაცვლილია 470 844 ადამიანი, მათგან 4 ათასამდე ინფიცირებული გასულ დღე-ღამეში იმსხვერპლა „ჩინურმა ვირუსმა".

„უხილავ მტერს" კვლავ ებრძვის 3.7 მილიონზე მეტი პაციენტი, ხოლო 4,8 მილიონზე მეტი ადამიანი უკვე გამოჯანმრთელდა.

მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე დიდი ზიანი ამერიკის შეერთებულ შტატებს მიადგა, სადაც 2 მილიონზე მეტი ინფიცირებისა და გარდაცვალების 123 ათასამდე ფაქტია დადასტურებული. სტატისტიკაში მეორე ადგილს ბრაზილია იკავებს, სადაც ინფიცირების მილიონზე მეტი შემთხვევაა გამოვლენილი, ხოლო გარდაცვლილია 50 ათასზე მეტი ადამიანი. „მსოფლიო ლიდერთა" სიაში მესამე ადგილზე კვლავ რუსეთია, იქ ინფიცირებულთა რაოდენობამ უკვე რამდენიმე კვირაა, ნახევარ მილიონს გადააჭარბა, გარდაცვლილია 8 111 ინფიცირებული. ინფიცირების ყოველდღიური მატების მიუხედავად, ქვეყნები ნელ-ნელა კორონავირუსული შეზღუდვების მოხსნას იწყებენ.

საქართველოს პირველ არხზე გამოცხადებულ ონლაინოლიმპიადას „ჩვენი ქართული ენა" სამი გამარჯვებული ჰყავს

საქართველოს პირველ არხზე სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებისთვის გამოცხადებული ონლაინოლიმპიადა „ჩვენი ქართული ენა" დასრულდა. უკვე ცნობილია სამი გამარჯვებული.

პროექტის გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები გადაეცემათ. პროექტში „ჩვენი ქართული ენა" მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატით დაჯილდოვდებიან დანარჩენი მონაწილეებიც.

ონლაინოლიმპიადაში „ჩვენი ქართული ენა" მონაწილეობის სურვილი არაქართულენოვანი სკოლების 200-მდე მოსწავლემ გამოთქვა. ფინალურ ეტაპზე კი გასაუბრების შედეგად აზერბაიჯანული და სომხურენოვანი სკოლების 44 მეშვიდე კლასის მოსწავლე გადავიდა.

პროექტის ფარგლებში, სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან გამარჯვებული მოსწავლეების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებიც.

საქართველოს პირველ არხზე სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მეშვიდე კლასის მოსწავლეებისთვის ონლაინოლიმპიადა 4 ივნისს დაიწყო.

„ჩვენი ქართული ენა" არის საქართველოს პირველი არხის პროექტი, რომელიც ქართული ენის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, იმ რეგიონში, სადაც ჩვენი თანამოქალაქე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ცხოვრობენ. პროექტის ფარგლებში, არაერთი აქტივობაა დაგეგმილი. საქართველოს რეგიონებში არაქართულენოვანი სკოლებისთვის ქართული ენის ონლაინოლიმპიადის ჩატარებაც, ამ მასშტაბური პროექტის ერთ-ერთი ნაწილია.

პროექტის ფეისბუქზე კი კვირაში ერთხელ იმართება ვიქტორინები, სადაც ქართული ენის შესახებ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს, დასმულ შეკითხვებზე გაცემა შეუძლიათ. ასაკი შეზღუდული არ არის, სწორად გაცემული პასუხების შემთხვევაში, წამახალისებელი საჩუქრების მიღების შესაძლებლობა აქვთ.

„ბლექ სი არენაზე" მიმდინარე წელს დაგეგმილი ღონისძიებები 2021 წლის ზაფხულამდე გადაიდო

„კოვიდ-19"-ის პანდემიით გამოწვეული მდგომარეობიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს „ბლექ სი არენაზე" დაგეგმილი ღონისძიებები 2021 წლის ზაფხულამდე გადაიდო, — ამის შესახებ აღნიშნულია „ბლექ სი არენას" ფეისბუქგვერდზე.

„ეს ცვლილება ეხება როგორც Nile Rodgers & CHIC-ის ღონისძიებას, ასევე One Republic-ის კონცერტს. თუ თქვენ უკვე შეიძინეთ აღნიშნული ღონისძიების ბილეთი, შეგიძლიათ თანხა დაიბრუნოთ ან ბილეთი მომავალი წლის კონცერტისთვის შეინახოთ.

მათთვის, ვისაც ბილეთების დაბრუნება სურს, ჩვენს ვებგვერდზე სპეციალური ღილაკი უკვე გააქტიურდა და ბილეთების დაბრუნების სერვისით 20 სექტემბრის ჩათვლით შეგიძლიათ ისარგებლოთ. თუ მითითებულ პერიოდში ბილეთის თანხას არ დაიბრუნებთ, ეს ნიშნავს, რომ ბილეთს მომავალი წლის კონცერტისთვის იტოვებთ.

გაცნობებთ, რომ „ბლექ სი არენას" გუნდი 2021 წლის სეზონის დასაგეგმად ინტენსიურად მუშაობს და ახალი თარიღების შესახებ ინფორმაციას ძალიან მალე მოგაწვდით"...

საფეხმავლო ბილიკი სოჭიდან აფხაზეთამდე

სოჭის ეროვნულ პარკში, ტუაპსედან აფხაზეთისკენ საფეხმავლო ბილიკს ქმნიან. გეგმის თანახმად, პროექტმა ოკუპირებულ რეგიონში მეტი ტურისტი უნდა მიიზიდოს, — იუწყება ტელეარხი „Россия 1". „ვგეგმავთ, შევქმნათ ეროვნული ბილიკი მარშრუტით, რომელიც სოჭის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გაივლის.

საკვანძო იდეა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომად ვაქციოთ. პროექტი დამუშავების სტადიაშია. ბილიკის ნაწილად იქცევა პოპულარული მარშრუტი „ბოსფორის სამეფოს ოქროს რგოლი", — ნათქვამია ეროვნული პარკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში.

სამშობლოს ალმშენებელი

ბატონი რევაზ თევზაძე 89 წლისაა

ბატონო რევაზ!



პროფესორ გივი მინდელის საზოგადოება გილოცავთ დაბადებიდან 89 წლის იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას.

მთელი ჩვენი ქვეყანა და არა მარტო – ბევრი სხვა ქვეყნის პროფესიული წრეები კარგად იცნობდა ქართველ მენავთობეთა პატრიარქის, მრავალი თაობის აღმზრდელისა და მასწავლებლის, შრომის გმირის, საინჟინრო და ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსის შრომითა და შემოქმედებით დატვირთულ გზას. თქვენი დაუღალავი შრომის, ნიჭისა და ორგანიზაციული უნარების შედეგად ხომ ყველასათვის წარმოუდგენელ შედეგებს მიაღწია ქართული ნავთობის მრეწველობამ. განსაკუთრებულია თქვენი წვლილი ასევე ფერადი მეტალების გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების წარმატებულად ჩატარებასა და სამრეწველო მნიშვნელობის მარაგების დამტკიცების საქმეში – რომელი ერთი შეიძლება აღინიშნოს. ამიტომაცაა, რომ დღესაც ნათლად ჩანს თქვენი დიდი დამსახურება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გამოვხატოთ იმისთვის, რომ სწორედ თქვენი თავკაცობით, უკვე მრავალი წელია, აგრძელებს მოღვაწეობას ჩვენი საზოგადოება ისე, როგორც არ წარმოედგინა მის დამფუძნებელსა და ჩვენს საერთო მეგობარს – ბატონ გივი მინდელს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს.

პატივისცემითა და სიყვარულით

დავით დათოშვილი, გონდო ქობულია, მერაბ მახარაძე, ივიკო საყვარელიძე, თამაზ გოგინაშვილი, გაიოზ გალდავაძე, ვალერი ვარდოსანიძე, ჯუმბერ მოწაშვილი, გურამ ახრახაძე, რევაზ არველაძე, გია რამიშვილი, როლანდ იოსელიანი, ომარ ცაავა, თამაზ ყაჭეიშვილი, გია მახარაძე.

ჩვენც ვუერთდებით!

გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** რედაქცია სულითა და გულით უერთდება მეგობართა გულითად მილოცვას და თავის მხრივ დიდი პატივისცემით მიესალმება და დაბადების დღეს ულოცავს თვალსაჩინო ქართველ მეცესაუკუნელს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა თავისი სამშობლოს აღმშენებლობაში, კერძოდ, უკეთუ დღეს საქართველოს აღმავლობის „საწვავი“ აგრერიგად თვალსაჩინოდ მიაქანებს წინ, ამ საქმეში, როგორც იტყვიან, ლომის წილი მიუძღვის ერთ-ერთ პირველ ქართველ სოციალისტური შრომის გმირს რევაზ თევზაძეს.

იცოცხლეთ, ბატონო რეზო, საუკუნემდე დარჩენილი თერთმეტი წელიწადი თქვენებური შემართებით გაგევლოთ.

სიყვარულითა და პატივისცემით
„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

ქეთი მელუას საქველმოქმედო ონლაინ-კონცერტი

ბრიტანეთში მოღვაწე მუსიკოსი ქეთი მელუა 27 ივნისს 22:00 საათზე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მხარდასაჭერად „იუთუბზე“ (Youtube) საქველმოქმედო ონლაინ-კონცერტს გამართავს, – იუწყება საქართველოს წითელი ჯვარი.

„ამ უცნაურ პერიოდში, ვცდილობდი, მომეფიქრებინა, რა შეიძლება გავაკეთო, რომ ვინმეს რამეში გამოვადგე. გადავწყვიტე, შევუერთდე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, რომელიც შთამბეჭდავ სამუშაოს სწევს საქართველოში „კოვიდ-19“-ის კრიზისის პერიოდში“, – განაცხადა ქეთი მელუამ. **„ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია ქეთი მელუას ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც საშუალება გვექნება, ერთობლივი ძალებით მოვახდინოთ „კოვიდ-19“-ის შედეგებზე რეაგირება. საქართველოს მასშტაბით წითელი ჯვრის 39 ფილიალი მოხალისეების ჩართულობით ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს ჰუმანიტარულ საქმიანობებს. მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მოქალაქეს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის და მოგიწოდოთ ყველას, ჩაერთოთ ქეთი მელუას საქველმოქმედო კონცერტში“,** – განაცხადა საქართველოს წითელი ჯვრის პრეზიდენტმა ნათია ლოლაძემ.

„კოვიდ-19“-ით გამოწვეული კრიზისის დაწყებისთანავე, საქართველოს წითელი ჯვარი აქტიურად მონაწილეობს მოწყვლადი ჯგუფების სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაში. ამასთან ორგანიზაციის ინფორმაციით, პანდემიის პირობებში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ 80 000-მდე ამანათი დაარიგა და კვლავ აგრძელებს ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის მხარდაჭერას.

დიდი სცენარისტის პატივგება

ბათუმში სულიკო ჟღენტის დაბადებიდან 95 წლისთავი აღნიშნეს. ღონისძიებაზე, რომელიც ბულვარის შესასვლელში, სულიკო ჟღენტის ძეგლთან გაიმართა, კინოდრამატურგის ცხოვრება და მოღვაწეობა გაიხსენეს.

როგორც აჭარის განათლებისა და კულტურის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა განაცხადა, ბათუმში სულიკო ჟღენტის მუზეუმი გაიხსნება. სულიკო ჟღენტი 20-ზე მეტი მხატვრული და დოკუმენტური ფილმის, სცენარისა და 4 წიგნის ავტორია.

ფილმი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარზე



პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ხანძრის შესახებ მხატვრულ ფილმს „ნოტრ-დამი ცეცხლში“ გადაიღებენ.

პროექტის რეჟისორი ჟან-ჟაკ ანო იქნება, სცენარზე კი ტომასბიდეგენი იმუშავებს. ფილმის პროდიუსერი ჟერომ სეიდუ გახდება.

ფილმში როგორც არქივის კადრები, ასევე ახალი მასალა იქნება გამოყენებული. სიუჟეტი იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ როგორ ებრძოდა ასობით მეხანძრე საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთ მთავარ ღირშესანიშნაობაში ცეცხლს „ყვითელი ჟილეტების“ პროტესტების ფონზე.

გადაღებები წლის ბოლოს დაიწყება. ფილმის პრემიერის თარიღი ამ ეტაპზე არ სახელდება. პარიზის ღვთიმშობლის ტაძარში ხანძარი 15 აპრილს გაჩნდა. საფრანგეთის ხელისუფლება ნოტრ-დამის აღდგენას 5 წელიწადში გეგმავს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

დათვებს დასცხათ

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე სიცხით შეწუხებულმა დათვების ოჯახმა გაგრილება წყალში გადაწყვიტა. კადრებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო Facebook-ზე ავრცელებს. „ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე დათვების ოჯახმა გასაგრილებლად საუკეთესო საშუალება იპოვა!“ – ასეთი წარწერა დაურთეს უწყებაში ვიდეოს.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0385; ევრო - 3.4040;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7629;
100 რუბლი - 4.3743; თურქული ლირა - 0.4431;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7874;
1000 სომხური დრამი - 6.3135.

ამინდი 23 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+35
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+33
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+38
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+33
თბილისი:	ღამე	+18,	დღე	+34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge